MES 1 21 0000416093

27/04/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.04.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:04 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:11სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1.ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3.მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4.ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

5.ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6.ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7.ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8.გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9.ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10.ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11.გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12.დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13.დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14.ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15.თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16.თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17.მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
18.ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	ნინო ალავიძე	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
10	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
11	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	I, II
2	ვახტანგ წივწივაძე		კანცლერი	I, II
3	მარინა გედევანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
4	ლევან მოსახლიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	სერგო ჭელიძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანი	I
6	ირაკლი წივწივაძე		უნივერსიტეტის იურისტი	I
7	ხათუნა კაჭარავა		მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ნინო მინდიაშვილი		დოქტორანტურის სამსახურის უფროსი	II
9	ზაზა ცოტნიაშვილი		აფილირებული პროფესორი	II

10	დავით კერესელიძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	III
11	ეკატერინე აზარაშვილი		კანცლერი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარინე ვეკუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ლელი ბიბილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:04 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);
4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);
4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული).

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.11. 2012, გადაწყვეტილება № 681
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა№ 73, ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი №1. 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს ანა ფირცხალაშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველი, ნინო ჭალაგანიძე - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
თვითაცილების საფუძველი, ანა ფირცხალაშვილი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან (განახორციელა პროგრამის გარე შეფასება).

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დამოუკიდებელი ექსპერტი, ლევან ჯაყელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მას შესაფასებლად გადაეცა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ მიღებული პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების და აპელაციის მასალები, რომლებიც განსაზღვრულ ვადებში შეისწავლა, შეაფასა და წარადგინა ანგარიში.

ლევან ჯაყელმა განიხილა ანგარიშის ორი ძირითადი ასპექტი:
1. პირველი საკითხი ეხებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებასა და რეკომენდაციებს, მათი შეფასება/რეკომენდაციები იყო ადეკვატური და შესაბამისი რეალობასთან, ექსპერტის ანგარიშში განმარტებულია, რომ დაწესებულებას მხოლოდ ერთ რეკომენდაციასთან მიმართებით ჰქონდა განსხვავებული პოზიცია, რაც დასტურდებოდა ოქმით და ეხებოდა ყველა მიმართულებით, პროფესორთა აუცილებელი ზრდის მოთხოვნის შესახებ რეკომენდაციას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაც ემხრობა უკეთესი პირობების ქონის უპირატესობას, რაც უფრო მეტ პროფესორს მიიზიდავს მით უკეთესია დაწესებულებისთვის. გასაზიარებელია დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, რომ ყველა მიმართულებით პერსონალის არსებობა აუცილებელი მოთხოვნის სახით არც ერთ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ განმსაზღვრელ სავალდებულო/სამართლებლივ აქტებში დადგენილი არ არის, თუმცა ასეთ შემთხვევაში ობიექტური შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აფილირებული

პერსონალის დასაქმებას, ანუ რამდენად არის პროგრამა უზრუნველყოფილი ამ სტატუსის მქონე პერსონალით, სწორედ ამით დასტურდება პროგრამის მდგრადობა ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ნაწილში. ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალები, გაეცნო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის CV-ებსა და პირად საქმეებს და დაადგინა, რომ საანგარიშო პერიოდში/ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამა ფაქტობრივად უზრუნველყოფილია სამართლის ყველა მიმართულებით ასოცირებული პროფესორებითა და სხვა თანამდებობის პირებით. ოქმიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ძირითად შემთხვევაში იზიარებს რეკომენდაციებს და მზაობას გამოთქვამს მათ შესასრულებლად.
2. მეორე ნაწილი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 თებერვლის შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კორექტირებასა და გადაწყვეტილებას, საბჭომ სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში შეცვალა ექსპერტთა მიერ დადგენილი მეორე სტანდარტის შეფასება, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რის გამოც საბჭომ პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით, საბჭოს ცალკეულმა წევრებმა დამატებით სამსჯელოდ გამოიტანეს პროგრამის შემადგენელი რამდენიმე სასწავლო კომპონენტის სილაბუსი და ისაუბრეს მათ ხარვეზებზე, აკრედიტაციის საბჭოს ოქმში საყურადღებოა სხვა მიმართულებით განხორციელებული მსჯელობა, რომელმაც ვერ ჰპოვა ადგილი რეკომენდაციებში, მათი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მნიშვნელობის გამო ექსპერტმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი ცალკე განხილვა და სამსჯელოდ გამოტანა, შესაბამისად მის მიერ განხილული/შეფასებული იქნა რეკომენდაციების სახით გამოტანილი ხარვეზები და მათი საფუძვლები, რის შედეგადაც გააკეთა შეფასება.

საბჭოს მიერ დამატებით გაცემულ ხუთ რეკომენდაციაში გამოკვეთა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოკვეთილი ხარვეზები და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები არ არის უსაფუძვლო, უმეტესწილად გასაზიარებელია, თუმცა გარკვეულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დასაბუთების სახით გამოტანილ ხარვეზებს ექსპერტი, ლევან ჯაყელი არ იზიარებს და თითოეული რეკომენდაციის დასკვნის ნაწილში გაკეთებული აქვს განმარტებები, კერძოდ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით მიაჩნია, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება თავისი არსებული მდგომარეობითა და სრული შეფასებით, რაც ოქმის სახით არის წარდგენილი ესადაგება „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასებას და დაწესებულების საქმიანი რეპუტაციის გარე შეფასების შედეგებთან მიმართებაში პასუხისმგებლობისა და დამოკიდებულების, ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, შეუძლია მოკლევადიან პერიოდში, როგორც ეს გათვალისწინებულია დებულებით, არაუმეტეს 1 წლის ვადაში აღმოფხვრას უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტების მიმართ არსებული ხარვეზები და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების სრულად დაკმაყოფილების ხელისშემშლელი წინააღმდეგობები.

15:09 საათზე საბჭოს შემოუერთდა ელენე ჟურავლოვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ საკმაოდ მძიმე პერიოდი გაიარა 2 თებერვლიდან მანამ, სანამ მიიღებდნენ გარე ექსპერტის დასკვნას, რადგან მათთვის ძალიან მტკივნეული იყო პროგრამასთან დაკავშირებული გაუგებრობები, რომლებსაც არ

ელოდნენ. მისი მოსაზრებით უხარვეზო არაფერია და ვერც პროგრამა იქნება, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენდა პირობით აკრედიტაციას, მათთვის მოულოდნელი იყო. დაწესებულებას ბოლო 10 წლის განმავლობაში 40-ზე მეტი პროგრამა აქვს წარდგენილი სააკრედიტაციოდ და მსგავს სიტუაციაში, არ ჰქონია შემთხვევა, რომ გარე ექსპერტის მოწვევა გამხდარიყო საჭირო.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს საკითხის განხილვისთვის და დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევისათვის, რაც საშუალებას მისცემდა საბჭოს წევრებს, რომ შინაგანად დარწმუნებულიყვნენ მათ გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების მიღებისას, რომელსაც მიიღებენ დაყრდნობოდნენ კიდევ ერთი ექსპერტის დასკვნა, რომელიც საბჭოს მისცემდა საშუალებას დადებითი/უარყოფითი შეფასება მიეღოთ და ამ გადაწყვეტილებაში ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი.
დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებამ დაწესებულება კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ რასაც აპროტესტებდნენ აბსოლუტურად მართლები იყვნენ და ეს პროცესი ძალიან კარგი და გამოცდილების მიმღები იყო მათთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა პირველ ექსპერტთა ჯგუფს და როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულება არ იზიარებს მხოლოდ ერთ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა აფილირებული პროფესორების ყოლას ყველა მიმართულებით, თუმცა ოქმშიც არის ასახული, რომ დაწესებულება გამოთქვამს მზაობას აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებაზე და ამ ეტაპზეც აქვთ გამოცხადებული კონკურსი აკადემიური თანამდეობების დასაკავებლად. 15 აპრილს ექნებათ შედეგები და ამასთანავე გამოაცხადეს ვაკანსიები ყველა მიმართულებით, აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტი ყოველთვის მზად არის გაამდიდროს მისი აკადემიური პერსონალი, განასაკუთრებით სამართლის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე მადლობა გადაუხადა დამოუკიდებელ ექსპერტს - ლევან ჯაყელს, იმ კომპეტენტური/სამართლიანი დასკვნისთვის, რომელიც ექსპერტმა წარმოადგინა. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელზეც ექსპერტი აპელირებს. მან განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები არიან - ლევან მოსახლიშვილი და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, სერგო ჭელიძე და თუ საჭირო იქნება დაწვრილებით ისინი ისაუბრებენ;
ზემოაღნიშნული ხუთი რეკომენდაციათან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 6 სილაბუსს შეეხებოდა და ფაქტობრივად რამდენიმე მათგანი გადავიდა რჩევაში, მაგ., პირველი რეკომენდაცია, რომ კარგი იქნება თუ სილაბუსი გამდიდრდება გარკვეული საკითხებით - აღნიშნული არის რჩევა; მეორე რეკომენდაცია, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები“, ემთხვევა საბაკალავრო საფეხურის სასწავლო კურსს „ადამიანის უფლებებს“ აღნიშნულთან დაკავშირებით დამოუკიდებელმა ექსპერტი აღნიშნა, რომ თემატიკა არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა კარგი იქნება თუ პრაქტიკული კომპონენტით გაძლიერდება სასწავლო კურსი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან საინტერესო საგანი, მას შემდეგ, რაც სტუდენტები „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის მექანიზმებს“ შეისწავლიან, ამ საგანს ჰქვია „საქმის წარმოების წესი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოებში“ და ეს ძალიან კარგი კურსია, რომელიც შეთავაზებულია პროგრამის ხელმძღვანელის, ლევან მოსახლიშვილის მიერ და დაწესებულების წარმომადგენლებმა მოამზადეს შესაბამისი სილაბუსი;
რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალთან დაკავშირებით ფაქტობრივად არ იზიარებს დამოუკიდებელი ექსპერტი და განმარტავს, რომ თემატურ და ლიტერატურულ დუბლირებას არ აქვს ადგილი, პრობლემები ნამდვილად დარჩა დამოუკიდებელი ექსპერტის მხრიდანაც მე-4 და მე-5 რეკომენდაციებთან მიმართებაში, ეს არის სამი სასწავლო კურსის სილაბუსი და რადგან აღნიშნული რეკომენდაცია მეორედ დარჩა ძალაში ექსპერტის მხრიდან, დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით და

აღნიშნულის განხორციელებაში ჩართულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი პროფესორები, რომლებიც ამ სასწავლო კურსებს უძღვებია, შესაბამისად დაწესებულება გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს, რათა პროგრამა კიდევ უფრო კარგი/დახვეწილი გახდეს.

რეკომენდაციების რაოდენობასთან და სირთულესთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტმა აღნიშნა და თავადაც განმარტა სააპელაციო საბჭოს სხდომაზეც და ასევე, წინა სააკრედიტაციო საბჭოს სხდომაზე, პროგრამის შეფასება მხოლოდ 5 თუ 6 სილაბუსით არ შეიძლება, პროგრამა აუცილებლად უნდა შეფასდეს მთლიანობაში და აღსანიშნავია, რომ მითითებულ სილაბუსებში მთავარი იყო ის, რომ არსად იკვეთებოდა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგზე გასვლის პრობლემა, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და რაც დაადასტურა დამოუკიდებელმა ექსპერტმაც, აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან, რომ მეორე სტანდარტი მხოლოდ იმის გამო უნდა ყოფილიყო „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სწორია, რომ შეიცვალა შეფასება, რადგან 2.3 ქვესტანდარტი შეეხება სასწავლო კურსს, რომელთა მცირე ნაწილი დაწესებულებას რჩება სამუშაოდ, მაგრამ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებისათვის მათ არ სჭირდებათ 1 წელი ან მეტი, ეს რამდენიმე კვირის ან თვის საქმეა, თუმცა ამდენი დროც არ დასჭირდებათ, რადგან უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა.

უნდა ყოფილიყო თუ არა მეორე სტანდარტი შეფასებული, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ უნდა ყოფილიყო, რადგან მეორე სტანდარტი არის ყველაზე დიდი სტანდარტი, რომელიც მოიცავს ექვს ქვეკომპონენტს და იმისათვის, რომ ეს სტანდარტი მთლიანობაში შეფასებულიყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებს“ აუცილებელია არა ერთი, არამედ ორი ქვესტანდარტი ჩამოსულიყო შეფასებაზე - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც ძალიან სერიოზული, არგუმენტირებული დასაბუთება სჭირდებოდა, აქედან გამომდინარე ის, რომ მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშა სტანდარტის მოთხოვნებთან“ აღნიშნულ შეფასებას დაწესებულება ეთანხმება, თუმცა საბოლოოდ ორი სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რაც არ არის საფუძველი იმისა, რომ პროგრამას მინიჭებოდა პირობითი აკრედიტაცია და დასკვნის სახით განაცხადა, რომ მეორე სტანდარტის თუ შეფასდებოდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ამის საფუძველი უნდა ყოფილიყო მეორე სტანდარტის მინიმუმ ორი ქვესტანდარტის შეფასების დაწევა ნაწილობრივ შესაბამისობაზე, რაც საბჭოს ოქმის არც მსჯელობაში და არც სტანდარტების შეფასებაში არ იკვეთება, შესაბამისად ის, რომ მეორე სტანდარტის შეფასება ჩამოვიდა „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, აღნიშნული გადაწყვეტილება შეუსაბამობაში მოდიოდა აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ მან ვერ მოიძია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი, სადაც გაწერილია ნაშრომის შეფასების სისტემა და დაინტერესდა რაიმე პრობლემა ხომ არ იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სილაბუსი არ აქვთ, წარმოდგენილი აქვთ მაგისტრატურის დებულება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება სამაგისტრო ნაშრომების თემების შერჩევა, როგორ წარმოადგენენ პროფესორები აღნიშნულ თემატიკას, როგორ ირჩევენ სტუდენტები, როგორ მტკიცდება და ა.შ. თუ უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს ეხება კითხვა, მან

განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში 2016 წელს შევიდა ცვლილება, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, ისევე როგორც სადისერტაციო ნაშრომის, ხდება ერთჯერადად. სამაგისტრო ნაშრომი კომისიის წინაშე დაცვის დროს ფასდება ერთჯერადად და სტუდენტს დადებითი შეფასების შემთხვევაში მიენიჭება 30 კრედიტი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიცავს სამაგისტრო ნაშრომს და 51-ს ან მის ზევით ქულას მიიღებს, რაც შეეხება საკითხს თუ როგორ მიდის მაგისტრანტი დაცვამდე, აუცილებელია რეცენზიები, პირველ რიგში დასკვნას წერს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, შემდეგ რეცენზენტები, რომელთა დასკვნებიც აუცილებლად უნდა იყოს დადებითი, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე. დაწესებულებას ქულებად აქვს გაწერილი რეცენზიები და ყველაფრის შეფასება ხდება დაცვაზე, რეცენზენტები წინასწარ არ აფასებენ ნაშრომს, ესწრებიან დაცვას და დაცვა დასრულდება თუ არა შესაბამის ქულით (40 ქულის ფარგლებში) აფასებენ მაგისტრანტს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო, მაგისტრანტს აფასებს 60 ქულის ფარგლებში.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის თუ არა მაგისტრანტის ხელმძღვანელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელი არ შედის კომისიაში, კომისია კომპლექტდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინ, რომელშიც ხელმძღვანელი არ იღებს მონაწილეობას.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა იღებს თუ არა ხელმძღვანელი მონაწილეობას სტუდენტის შეფასებაში.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი განმარტა, რომ ვერ იღებს შეფასებაში მონაწილეობას, თუმცა აფასებს არა ქულებით, არამედ წერს დასკვნას ნაშრომის შესახებ.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელი რაღაც კუთხით მონაწილეობს მაგისტრანტის შეფასებაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქულას არ წერს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განმარტა, რომ მონაწილეობს, მაგრამ აკეთებს მხოლოდ სიტყვიერ შეფასებას, წინააღმდეგ შემთხვევაში რეცეზენტებს ვერ გადაეცემათ ნაშრომი შესაფასებლად, თუკი პირველ რიგში ხელმძღვანელი არ დაწერს დადებით დასკვნას მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა პროცედურასთან დაკავშირებით, რა გზას გადის სამაგისტრო ნაშრომი იმ შემთხვევაში თუ რეცეზენტმა უარყოფითად შეაფასა იგი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი გაწერილი აქვთ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში. თუ უარყოფითია შეფასება ვერ დაიცავს ნაშრომს და მიეცემა კიდევ ერთი სემესტრი სამუშაოდ, რათა გადაამუშაოს ნაშრომი და თავიდან წარადგინოს რეცეზენტების წინაშე.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გაწერილია ქულების მიხედვით და დაინტერესდა თუ რამდენი ქულაა უარყოფითი შეფასება.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასება, რეცეზენტი ნაშრომს ქულებით არ აფასებს და ის მონაწილეობს საბოლოო 100 ქულიან შეფასებაში, თუ როგორ რეგულირდებოდა აღნიშნული საკითხი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ 100 ქულიან შეფასებაში თავისი წილი აქვთ რეცეზენტებს და თავისი წილი აქვთ კომისიის წევრებს, 40 ქულის ფარგლებში თუ აფასებენ, შემდეგ დაწესებულებას გამოჰყავს შესაბამისობა 100 ქულასთან მიმართებაში რამდენია, ჯამდება საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით, თუ ორი რეცეზენტია, ერთმა დაწერა 35 ქულა, მეორემ - 30, ჯამში მათი შეფასება იქნება - 37.5 ქულა, ასევე ფასდება კომისიის წევრების შეფასებებიც, თუ არის 5 ან 7 წევრი, ყველას მიერ დაწერილი ქულა 60 ქულის ფარგლებში ჯამდება და გამოდის საშუალო არითმეტიკული, ამის შემდეგ უკვე ყველაფერი დაჯამებულად არის მაგისტრანტის საბოლოო ქულა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა სილაბუსებში არსებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შერჩევითი პრინციპით გადახედა რამდენიმე სილაბუსს და იმ გამოცდილების საფუძველზე, რაც სხვა პროგრამებში იყო შეექმნა შთაბეჭდილება, რომ სამაგისტრო საფეხურის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა შესაძლებელია მეორდებოდეს სხვაგან, მაგალითად, მათსავე საბაკალავრო პროგრამაში, ანუ ბაკალავრიატშიც გამოიყენებოდეს იგივე ლიტერატურა. მაგალითისთვის სამოქალაქო სამართალის პროცესის სილაბუსი, სადაც მითითებულია მიხეილ ქურდაძის და ზურაბ ძლიერიშვილის წიგნები, აღნიშნულს ხშირად ხვდებათ საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში. დაინტერესდა მეორდება თუ არა ლიტერატურა, არის თუ არა გამიჯვნა, რადგან სილაბუსის საკითხების სიღრმე ვერ ქმნის წარმოდგენას, რომ რისკი საბაკალავრო საკითხების გამეორების არ არის სამაგისტრო საფეხურზეც.
საბჭოს წევრმა ასევე, ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ, რომ, მაგ., სილაბუსი „შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი“ ძალიან საინტერესოდ არის აგებული და აქცენტი კეთდება სხვადასხვა ქვეყნების სისტემების შედარებაზე, განხილულია ძირითადად საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის მაგალითები და სახელმძღვანელო ლიტერატურა Comparative Contract Law England, France, Germany გამოყენებულია, რომელიც 1994 წლის სახელმძღვანელოა, თუმცა გერმანიამ 2001 წელს ვალდებულებითი სამართლის ნაწილში ძალიან დიდი რეფორმა განახორციელა და დაინტერესდა თუ რამდენად ლოგიკურია 1994 წლის სახელმძვანელოს ძირითად ლიტერატურად მითითება, რამდენად არის ამომწურავი რესურსი სტუდენტებისთვის, მითუმეტეს აქცენტია გაკეთებული, რომ თანამედროვე თეორიებს/ტენდენციებს ისწავლის, თუმცა არ არის ევროკავშირის კონვენციები და სხვა დოკუმენტები, შესაძლებელია დაფარულია, მაგრამ არ ჩანს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მიმართა დამოუკიდებელ ექსპერტს, ლევან ჯაყელს, რომელმაც ანგარიშში აღნიშნა, რომ „მეოთხე რეკომენდაციაში საუბარია სასწავლო კურსების „ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ და „საყოველთაო სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ ხარვეზებზე. კერძოდ, განმარტებულია, რომ ადგილი აქვს საბაკალავრო სასწავლო კურსთან შინაარსობრივ, თემატურ და ლიტერატურის დუბლირებას და ასევე, სამაგისტრო საფეხურთან შეუსაბამობას. შესაბამისი სილაბუსების შედარების შედეგად იკვეთება, რომ „საყოველთაო სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ სასწავლო კურსის თემატიკა და ლიტერატურა უმეტესწილად ესადაგება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს.“ შემდეგ მიმდინარეობს მსჯელობა, რომ აუცილებელია საკმაოდ სერიოზული გადამუშავება. საბჭოს წევრი დაინტერესდა, როდესაც ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1 წელი საკმარისი ვადაა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, ეხება თუ არა აღნიშნულ რეკომენდაციასაც და შესაბამისად გადამუშავებული სილაბუსი აღარ იქნება შესაბამისობაში საბაკალავრო დონესთან. საბჭოს წევრი ასევე დაზუსტების მიზნით დაინტერესდა მეორე სტანდარტთან მიმართებით, რომ სტანდარტი არ უნდა შეფასდეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, არამედ უნდა შეფასდეს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დამოუკიდებელი ექსპერტმა, ლევან ჯაყელმა სრულად გაიზიარა საბჭოს წევრის მოსაზრება, რომ აღნიშნული საგნის გადამუშავებისა თუ ახალი საგნით ჩანაცვლებისთვის სრულიად საკმარისია ერთი წელი და ხუთივე რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ მათი სიღრმითა და გართულებების მიუხედავად ერთი წელი სრულიად საკმარისი ვადაა მათ შესასრულებლად. მან ასევე განმარტება გააკეთა მეორე სტანდარტის შეფასებასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ პროგრამის მთლიანობიდან გამომდინარე მეორე სტანდარტის

შეფასება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ არალოგიკურია და იგი შეფასებული უნდა იყოს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ლევან მოსახლიშვილს.
პროგრამის ხელმძღვანელი, ლევან მოსახლიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ სამართლის სისტემა აწყობილია შემდეგი პრინციპით, რომ არსებობს ორი ძირითადი ოჯახი, ყოველ შემთხვევაში ევროპულ სამართალში, რომელსაც მოიცავს ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახი და რომაულ-გერმანული სამართლის ოჯახი, შესაბამისად, როდესაც ხდება ინსტიტუტების შედარება, აღნიშნული ხორციელდება ქვეყნის სამართალის მიხედვით და არა ევროკავშირის სამართალის მიხედვით, რადგან ეს სტანდარტები არ არის ინსტიტუციურ/ეროვნულ კანონმდებლობის დონეზე მორგებული, არის გარკვეული კონვენციები და ა.შ., რაც ცალ-ცალკე საგნებია, იგი გულისხმობს, რომ ევროპულ დონეზე ისეთი ინსტიტუტი, რომელიც იქნება სანივთო თუ ვალდებულებით სამართალში, არ არსებობს ევროკავშირის დონეზე, არსებობს მხოლოდ ეროვნულ დონეზე და შესაბამისად ინსტიტუტების შედარება ხორციელდება ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, რომ შედარებითი სამართლის დროს ინსტიტუციის გადასაწყვეტია, თუ რომელ ქვეყნებს აიღებს საკვანძოდ, შეუძლია ინდონეზიის მაგალითი განიხილოს, აღნიშნული საკითხი დაწესებულების გადასაწყვეტია, მისი კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე. საბჭოს წევრის კითხვა კი ეხებოდა, რომ აღნიშნულ დისციპლინაში განხილულია გერმანიის მაგალითი, მთლიანობაში სამი ძირითადი ქვეყანაა მოცემული და ეს ლოგიკურად არის აწყობილი. უბრალოდ ძირითადი ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსში არის 1994 წლის, არადა 2001 წელს გერმანიაში განხორციელდა რეფორმა ვალდებულებითი სამართლის ნაწილში ესე იგი რაღაც შეიცვალა და როდესაც ასწავლიან 1994 წლის გამოცემით თანამედროვე ტენდენციებს იგივე გერმანულ სამართალში რეფორმამდელი პერიოდია და რეფორმის შემდეგ ხომ არ არის პრობლემა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მოცემული მიმართულებით არ არის პრობლემა, რადგან გერმანიაში დღესდღეობით მოქმედებს 1897 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი და ერთადერთი ცვლილება, რაც განიცადა გერმანიის კანონმდებლობამ ორიათასიან წლებში, შეეხებოდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს მაგალითიდან აიღეს, ანუ ქართული კოდექსიდან აღებული მუხლია და შემდეგ შეიტანეს გერმანულ კოდექსში, სხვა რეალური ცვლილება მას არ განუცდია. რაც შეეხება ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შედარებითი სამართლის პროგრამაში არ არის, მხოლოდ ის ინსტიტუტებია შედარებული, რომლებსაც ცვლილება არ განუცდიათ, მითითებული სახელმძღვანელო კი ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა, იგი ითვლება კლასიკად და ინსტიტუციურ დონეზე განვითარებულია, მასში საუბარია ინსტიტუტის წარმოშობაზე, მისი ისტორიაზე,. შესაბამისად, ვინაიდან ფრენშაიზინგის ხელშეკრულება არ არის პროგრამაში, ამიტომ არ მოხდა ამ სილაბუსში ცვლილების განხორციელება და ლიტერატურის ჩანაცვლება. ძირითადად ვალდებულებითი და შედარებითი სახელშეკრულებო სამართალში, ორივეში ძრითადად საუბარია ნასყიდობაზე, ეს რა თქმა უნდა არ მოიცავს ვალდებულებითი სამართლის ყველა ინსტიტუტს.
სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ განსხვავებული ტიპის საკითხია და ალბათ სწორედ ამან გამოიწვია გარკვეული შეკითხვები ექსპერტების მხრიდან სისხლის სამართლის მიმართულებითაც. დაწესებულებას სისტემა აწყობილი აქვს შემდეგ პრინციპზე, როდესაც ისწავლება სამართლის რომელიმე დარგი და სასამართლო პრაქტიკა ეს ნიშნავს, რომ ეს ინსტიტუტი სტუდენტს ნასწავლი აქვს ბაკალავრის საფეხურზე, იცის ამ ინსტიტუტის არსი და სამაგისტრო საფეხურზე სწავლობს მის პრაქტიკაში გამოყენებას, სასამართლო რა შემთხვევაში რას თვლის ხარვეზად, რა შემთხვევაში არ თვლის და ა.შ.

შესაბამისად ისეთი ტიპის ლიტერატურა როგორიცაა საპროცესო კოდექსების სახელმძღვანელო ეს არ გამოიყენება ძირითად სასწავლო მასალად, რადგან ძირითადი სასწავლო მასალა ყოველთვის არის სასამართლო გადაწყვეტილებები, ქართული კანონმდებლობით და საერთოდ რომაულ-გერმანულ სამართლის ოჯახში კანონმდებლობის განმარტების უფლება ერთადერთ ორგანოს - სასამართლოს აქვს, ეს კი ინსტიტუციურად შეიძლება იყოს მოცემული.
თემატური გადაკვეთის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე არ მიაჩნია სწორად, რომ მიუთითონ გვერდები. ერთ-ერთი წიგნი, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა და სამოქალაქო კოდექსი, რომელიც რამდენიმე სემესტრი ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე მაინც ვერ იფარება ბოლომდე, რადგან ძალიან დიდი მოცულობისაა და ამიტომ სამოქალაქოს საპროცესოს სილაბუსშიც თემატიკასთან ერთად ჩაშლილია თუ რომელი ტიპის გადაწყვეტილებებზეა საუბარი და გადაწყვეტილებებში რომელი ინსტიტუტები იქნება შესწავლილი, ამიტომ დაწესებულება არ თვლის, რომ ამ მიმართულებით არსებობს რაიმე პრობლემა, მათ შორის დისტანციური შეფასების დროს, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი კერძო სამართლის მიმართულების სპეციალისტი იყო და მათაც არ აღუნიშნავს ამის შესახებ და ასევე, არც საბჭოს წევრებს, რომლებიც ასევე კერძო სამართლის სპეციალისტები იყვნენ, შესაბამისად ამ მიმართულებით პრობლემა/კითხვა არავის დაუსვამს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, მარინა გედევანიშვილს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სისხლის სამართლის მიმართულების ორ სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც მან უკვე აღნიშნა და დამოუკიდებელმა ექსპერტმაც დაადასტურა, ნამდვილად არის სამუშაო აღნიშნულ სილაბუსებთან მიმართებით და მუშაობა უკვე დაწყებული აქვთ, თუმცა მოცემული 2 თუ 3 სილაბუსით რომელზეც მიმდინარეობს მუშაბა, არანაირად არ შეიძლება მეორე სტანდარტის შეფასების დაწევა - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგან იმისათვის, რომ სტანდარტი შეფასდეს ნაწილობრივ შესაბამისად მისი ორი ქვესტანდარტი მაინც უნდა იყოს შეფასებული, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო მესხიშვილს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო მესხიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იხელმძღვანელა პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე. პროფესორებთან დაკავშირებით ღრმა სისტემური ცოდნის გადაცემა საჯარო, სისხლის და კერძო სამართლის მიმართულებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ისინი არ ამბობენ, რომ დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი რაოდენობა ან არღვევენ კანონს, მხოლოდ მიზნიდან გამომდინარე აღნიშნეს რომ კარგი იქნებოდა, ჰყოლოდათ პროფესორი კერძო სამართალის მიმართულებითაც, თუმცა ასოცირებული პროფესორები ნამდვილად ჰყავთ და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისაკენ.

15:37 საათზე საბჭო დატოვა თამარ ჩხეიძემ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:41
დასრულების დრო: 16:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული რჩევენბი და რეკომენდაციები;

შეფასების ნაწილში კი საბჭომ გაიზიარა მოწვეული (დამოუკიდებელი) ექსპერტის, ლევან ჯაყელის დასკვნაში ასახული შეფასება. შესაბამისად პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე და მეოთხე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და მონიტორინგის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა)სამართალმცოდნეობის შესავალსა და შესავალი საკონსტიტუციო სამართალში აღმოიფხვრას შინაარსობრივი ურთიერგადაფარვები (განსაკუთრებით სახელწიფოს მოწყობის, სახელმწიფო მმართველობის და მსგ.);
ბ)შესავალი საკონსტიტუციო სამართლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის თემატიკა დუბლირებულია, აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სამართლიდან ამოღებულ იქნეს ის ზოგადი თემატიკა, რომელიც მეორდება (მაგ., 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11 თემები);
გ)განახლდეს და რელევანტური, თანამედროვე ლიტერატურა მიეთითოს შემდეგ დისციპლინებში: შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება, ადამიანის ძირითადი უფლებები; ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი; ევროპული კავშირის სამართალი; დიპლომატიური და საკონსულო სამართალი.
დ)გადაიხედოს სამართალმცოდნეობის შესავლის თემატიკა, აისახოს ისეთი საკითხები, რომლებიც შინაარსობრივად, კურიკულუმის მიხედვით, სხვა საგნებით ვერ დაიფარება (მაგ., მორალი, სამართლიანობა და ა.შ.);
ე)შესავალი საკონსტიტუციო სამართალში არ მოიცავს ისეთ ფუძემდებლურ საკითხებს, როგორიცაა საკონსტიტუციო თეორიის საფუძვლები, თავდაცვა და უსაფრთხოება, საფინანსო-ეკონომიკური და საბიუჯეტო თემატიკის საკონსტიტუციო საფუძვლები და ა.შ. სილაბუსის მე-10-მე-15 თემებზე მითითებული ლიტერატურა არ ფარავს მასალას;
ვ)საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი ისწავლება არა მხოლოდ არარელევანტური ლიტერატურით, არამედ სასწავლო მასალა ასახავს უკვე მცდარ, კონსტიტუციის ძველი რედაქციის შესაბამის შინაარსს. აუცილებელია სილაბუსი ორიენტირებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციასა და მის შინაარსზე. აუცილებელია თემატიკას დაემატოს საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემათა საკონსტიტუციო საფუძვლები;
ზ)საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება მოიცავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხოლოდ ნაწილს და არ ფარავს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ საკითხებს. აუცილებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების თემატიკის ზრდა სილაბუსში. ასევე, აუცილებელია გაუქმებული ნორმატიული აქტის ნაცვლად შესაბამისი კანონმდებლობის მითითება;

თ)ადამიანის ძირითადი უფლებებში აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაზე ყურადღების გამახვილება, შინაარსობრივად უნდა ისწავლებოდეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტების შესახებ ინფორმაცია;
ი)ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა - ამოღებულ უნდა იქნეს გაუქმებული ნორმატიული აქტები და ჩანაცვლდეს მოქმედით;
კ)მიზანშეწონილია, უნივერსიტეტსა და დაწესებულება/ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების ნაწილში დაზუსტდეს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, ვინაიდან კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკის გამვლელი სტუდენტების სავარაუდო რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია პრაქტიკის სათანადოდ დაგეგმვის, მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტის სწორი მენეჯმენტისთვის;
ლ)სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს, ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების რაოდენობა, და წარმოდგენილი იყოს არამხოლოდ სისხლის, არამედ კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებითაც;
მ)აკადემიური პერსონალის რანგირების წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და წახალისების მექანიზმები გავრცელდეს როგორც ამ წესის ძალაში შესვლამდე, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმებულ პერსონალზე;
ნ)გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით.

რჩევები:
ა)სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელი 15 კრედიტის სტუდენტის მიერ ათვისების კრიტერიუმები და პირობები უფრო კონკრეტულად იქნას გაწერილი პროგრამით ნებისმიერი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით.
ბ)სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში სტუდენტების მეტი ჩართულობის მექანიზმები და შესაძლებლობები სტუდენტებისათვის მეტ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შეთავაზებითა და ამ პროგრამების სტუდენტების მიერ გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფით.
გ)სტუდენტებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კარგი იქნება, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურად თუ იმუშავებს, სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად.
დ)გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას.
ე)კურსდამთავრებულებთან საუბრისას და სამაგისტრო ნაშრომების განხილვისას გაირკვა, რომ ნაშრომის შესრულებისას, ფაქტობრივად, არ ან მცირე ოდენობით გამოიყენეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, უცხოური ლიტერატურა, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება. ამიტომ, კარგი იქნება, უსდ თუ ჩაატარებს დამატებით აქტივობებს, აქტიურად გააცნობს სტუდენტებს სამეცნიერო ბაზების მოხმარების წესსა და საჭიროებას, რათა მაგისტრანტებს ხელი შეუწყოს უცხოური სამეცნიერო ბაზების გამოყენების პროცესში.
ვ)კარგი იქნება, რომ უსდ-მ „ბიბლიოთეკის დებულების“ 3.1 პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, „ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

სილაბუსებით განსაზღრული ყველა ლიტერატურა წიგნადი თუ ელექტრონული ფორმით და დამხმარე მასალები“, უსდ/ბიბლიოთეკამ უზრუნველყოს სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა დამხმარე ლიტერატურის ერთი ეგზემპლარი მაინც.
ზ)პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით უსდ-ს გააჩნდეს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შესრულების კონკრეტულ და რეალისტურ ინდიკატორებს. ამასთან შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები.
თ)საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება, შეისწავლოს შემოწმების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუმქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობითა და მონიტორინგის ვალდებულებით.

16:08 საათზე საბჭოს შემოუერთდა თამარ ჩხეიძე.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	**VIII**

9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321, ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა№ 73, ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი №1. 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დამოუკიდებელი ექსპერტი, მარინე ვეკუა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე შეეცდებოდა მკაფიოდ და ნათლად წარმოედგინა თავისი მოსაზრება, რომელიც ეყრდნობოდა საგანმანათლებლო პროგრამას, თანდართულ დოკუმენტებს, თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნასა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმს. მან განმარტა, რომ

უნივერსიტეტის ძალებით ჩატარებული ბაზრის კვლევის (მედიაორგანიზაციები, უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანიზაციები) შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ სადოქტორო პროგრამამ უნდა დაისახოს ორი ძირითადი ამოცანა, რაც ზოგადად დოქტორანტურის საფეხურის მიზანს წარმოადგენს: (1) მასობრივი კომუნიკაციის სფეროში სიღრმისეული, ფართო კვლევების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა და (2) მთელი ქვეყნის მასშტაბით იმ დეფიციტის შევსება, რაც აღნიშნულ სფეროში აკადემიური კადრების ნაკლებობას გულისხმობს. მაგალითისთვის მოიყვანა პირველი სადოქტორო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში, რომელიც შემუშავდა და ამოქმედდა 2008 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მისი ფუნქციონირების პეროიდში დარგს შესძინა 8 დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში, თუმცა ეს არ არის საკმარისი რაოდენობა. ასევე ზედმიწევნით გაეცნო საქართველოში მოქმედ 4 სადოქტორო პროგრამას, რომლებიც ამჟამად აკრედიტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტსა და კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში. თსუ-ის, სტუ-სა და საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამებს ბევრი საერთო კომპონენტი გააჩნიათ, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, მათი ძირითადი კვლევის სფერო არის მედია. კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის პროგრამა განსხვავდება დანარჩენი სამი პროგრამისაგან, პირველ რიგში კვლევის ობიექტით, რომელიც ვიწრო და კონკრეტულია, გაცხადებულია პროგრამის სახელწოდებაშივე „მედიის კვლევა (კულტურა მედიაში)“. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი პროგრამის წინაშე დადგა რთული ამოცანა: მოიფიქროს და შესთავაზოს (1) აბიტურიენტს ის განსაკუთრებული ცოდნა და უნარები, რასაც სხვა პროგრამები ან არ გულისხმობენ, ან პრიორიტეტულად არ მიიჩნევენ; (2) დამსაქმებელს შესთავაზონ ისეთი კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომლის აუცილებლობა და საჭიროება ნამდვილად არსებობს შრომის ბაზარზე. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა უნივერსიტეტის ხელშეწყობით, ჩაატარა ბაზრის კვლევა, რის საფუძველზეც შეძლო გარკვეული დასკვნების გამოტანა. კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციის სფერო არის აქტუალური, მზარდი და მოთხოვნადი დასაქმების ბაზარზე მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩატარებული კვლევის დასკვნების საფუძველზე გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა, დადგინდა მისი მთავარი განსხვავება არსებული პროგრამებისაგან. კერძოდ კი, კვლევითი კომპონენტი გაცილებით ფართოა და გულისხმობს არა მხოლოდ მედიის, არამედ მასობრივი კომუნიკაციის ერთიან, რთული სისტემის კომპლექსურ კვლევის. აღნიშნული გარემოება სულ უფრო მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს თანამედროვე, ციფრული კომუნიკაციების სხვადასხვა ფორმების პირობებში. სწორედ საზოგადოების განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი ითხოვს კომპლექსურ, მრავალმხრივ, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით შესწავლას, რასაც პროგრამა დროულად და სწორი პრიორიტეტების გმაოკვეთით პასუხობს. ზოგადად აღსანიშნავია, რომ კვლევა სადოქტორო საფეხურზე ნათლად არის ჩამოყალიბებული არაერთ სახელმძღვანელო დოკუმენტში, მათ შორის კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში, თუმცა კონკრეტული ინსტრუმენტები, რითიც შესაძლებელი იქნება კვლევის ზუსტი შეფასება ან გაზომვა, არ არსებობს. შესაბამისად, სამეცნიერო კვლევის დონის, აქტუალობის, სიღრმისა თუ სხვა პარამეტრების შეფასება სუბიექტური აღქმის კატეგორიას მიეკუთვნება. წარდგენილ პროგრამაში კვლევითი ნაწილის მიზანი, რომელიც იკითხება მთლიან სტრუქტურაში, სავალდებულო სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, არჩევითი სასწავლო კურსების კავშირში პროგრამის მიზნებთან, შედეგებთან და ცალკეული სილაბუსების კვლევით კომპონენტებში არის გააზრებული, ლოგიკურია და სრულ შესაბამისობაშია სწავლის ძირითად შედეგებთან.

მისი თქმით ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ სად შეიძლება დასაქმდეს კურსდამთავრებული, პროგრამაში ნათლადაა ჩამოყალიბებული აღნიშნული ნაწილი, რომ „მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო ხარისხის მფლობელი შეძლებს მონაწილეობა მიიღოს: საგანმანათლებლო საქმიანობაში (უმაღლესი, სკოლა, ტრენინგები), მნიშვნელოვანი/მსხვილი პროექტების საკომუნიკაციო სტრატეგიის/ტაქტიკის

შემუშავებასა და განხორციელებაში (მაგ., კორონავირუსის პანდემიის, ნამახვანჰესის, მასობრივი კომუნიკაციის პოლიტიკა), საექსპერტო მუშაობაში (მაგ., საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევითი პროექტები, აკადემიური და სხვა ხასიათის საკონკურსო კომისიები), მედიის კვლევით ორგანიზაციებში (მაგ., „მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრი“, „მედიის განვითარების ფონდი“, „მედიის კომუნიკაციის ცენტრი“)“. მისი მოსაზრებით, სამომავლოდ შესაძლებელია ფიქრი იმის შესახებ, რომ მსგავს ორგანიზაციებთან სხვადასხვა ფორმით დამყარდეს საქმიანი ურთიერთობები.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ნებისმიერი უნივერსიტეტის და საგანმანათლებლო პროგრამის არჩევისას აბიტურიენტს პირველ რიგში უჩნდება რამდენიმე კითხვა, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხები, ესენია: რას ასწავლიან? როგორ ასწავლიან? ვინ ასწავლის? სად სწავლობენ? სად გამოადგებათ შეძენილი ცოდნა? მან განაცხადა, რომ ფაქტობრივად, ამ კითხვებზე პასუხებია ჩაქსოვილია აკრედიტაციის სტანდარტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საბჭოს წევრები გაეცნენ წარდგენილ დოკუმენტაციას და ექსპერტს მიმართა, რომ ყურადღება ძირითად საკითხებზე გაემახვილებინა.

დამოუკიდებელმა ექსპერტმა, მარინე ვეკუამ დასკვნის სახით განაცხადა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აქტუალურია, მისი ყველა კომპონენტი: სასწავლო, კვლევითი და პედაგოგიური, გააზრებულია და პირდაპირ პასუხობს პროგრამის მიზანს, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია მრავალფეროვანია, პროგრამა კი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით.

მისი თქმით, ექსპერტთა მიერ შემუშავებული სამი რეკომენდაცია და ოთხი რჩევა ლოგიკური, მისაღები და გასაზიარებელია, რაც არ აყენებს საფრთხის ქვეშ პროგრამის განხორციელებას და ემსახურება მის გაუმჯობესებას. მან აღნიშნა, რომ უმოკლეს დროში მოხდა აღნიშნული რჩევების/რეკომენდაციების კორექტირება და მას მიაჩნია, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საინტერესო პერსპექტივები და მხარი დაუჭირა მის აკრედიტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დამოუკიდებელი ექსპერტს, ლელი ბიბილაშვილს.

დამოუკიდებელი ექსპერტი, ლელი ბიბილაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მას სურდა რამდენიმე საკითხზე გაემახვილებინა ყურადღება, პირველ რიგში სრულად გაიზიარა წინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და დაადასტურა, რომ პროგრამა თავიდან ბოლომდე პასუხობს შრომის ბაზრის გამოწვევებს, მოცემული და სხვა მსგავსი პროგრამების არსებობა უმნიშვნელოვანესია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნულ დარგში მისი პრაქტიკული ღირებულებიდან გამომდინარე ადამიანები უმეტესად საქმდებიან პრაქტიკული მიმართულებით და მუდმივად არის დეფიციტი აკადემიური და კვლევითი მიმართულებით, რაც არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის პრიორიტეტია, რომ ამ მიმართულებით ახალი ცოდნა შეიქმნას. მოცემული პროგრამა შედეგებით, შინაარსითა და სტრუქტურით სრულიად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს როგორც კვლევით უნარებს, ასევე აკადემიური საქმის წარმოების უნარებსაც, რაც ორი კომპონენტისგან შედგება ეს არის სწავლების მეთოდების ნაწილი და უშუალოდ პრაქტიკის ნაწილი, რომელი ორი მთავარი ფუნქციაც აქვს სადოქტორო პროგრამას და განსახილველი პროგრამა ორივეს რელევანტურად პასუხობს. ექსპერტმა დეტალურად შეისწავლა აკადემიური პერსონალის CV-ები, ნაშრომები და ა.შ. მან სამ ძირითადი ნაწილზე გაამახვილა ყურადღება, რომ პროგრამაში წარდგენილია ცალსახად მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომელიც პროგრამის განვითარების პროცესში ნებისმიერი სახის, თუნდაც მცირე კორექტირებას ძალიან მარტივად გაართმევს თავს. კომპლექსურად პროგრამა ნამდვილად გადის შედეგზე, არის ბაზარზე ორიენტირებული, თავისი სტრუქტურით, შინაარსით და აკადემიური პერსონალის რესურსით არის ძლიერი და ასევე იქნება სამომავლოდაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასებისთვის. პროგრამის ხუთივე სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ასევე მადლობა გადაუხადა დამოუკიდებელ ექსპერტებსაც. მან განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის უცნობი იყო დამოუკიდებელი ექსპერტების ვინაობა და ნამდვილად მოხარულები არიან, რომ მათი დასკვნებით კიდევ ერთხელ დადასტურდა პროგრამის უხარვეზობა, რომ პროგრამა პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს, გადის შედეგზე და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, ასევე მე-8 დონით გაწერილ წავლის შედეგებთან, რომ ის რესურსი, რომელთან დაკავშირებითაც დაისვა კითხვა, საუბარია ადამიანურ რესურსზე, ყველაფერი გახდა ნათელი, რომ ამ ადამიანებს ნამდვილად აქვთ პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში, სამეცნიერო კვლევები, გამოცემები, ნაშრომები და ა.შ.

დამოუკიდებელი ექსპერტის, ლელი ბიბილაშვილის დასკვნასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ იგი წერს: სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ იყოს გახსნილი და შეირჩეს ის ადამიანები, რომელთაც უშუალოდ სამაგისტრო პროგრამა მაინც ექნებათ დამთავრებული კონკრეტულ სფეროში, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მისი სუბიექტური მოსაზრებით აბსოლუტურად ეთანხმება დამოუკიდებელ ექსპერტს, რადგან მისი მოსაზრება სადოქტორო პროგრამებთან მიმართებით ყოველთვის არის ის, რომ თუ მისი გადასაწყვეტი იქნება არასდროს გახსნის წინაპირობას ისე, როგორც რეგულირებადი პროფესიების შემთხვევაშია, რომ სამაგისტრო განათლება აუცილებელია კონკრეტულ დარგში და არც არა რეგულირებად პროფესიებში გახსნიდა წინაპირობას ყველა ადამიანისთვის, თუნდაც საბაკალავრო პროგრამა მაინც რომ არ ჰქონდეს აღნიშნულ დარგში დამთავრებული, მაგრამ ამას არ კრძალავს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, აქედან გამომდინარე ძალიან ბევრი მსჯელობა გაიმართა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიღეს წინაპირობის გახსნის გადაწყვეტილება, თუმცა პროგრამაში დეტალურად არის მითითებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რა მოეთხოვება კონკურსანტს, ვისაც სურს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. პირველ რიგში მოეთხოვება, რომ აუცილებლად უნდა ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე, მიმღებ კომისიას აუცილებლად უნდა წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით, უნდა წარადგინოს საკვლევი თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს, აუცილებლად უნდა წარადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი აკადემიური სფეროდან/წრეებიდან, თუმცა თუ ადამიანი პრაქტიკულად მუშაობს უნდა წარადგინოს ერთი აკადემიური წრიდან, მეორე კი დამსაქმებელი კომპანიიდან/ორგანიზაციიდან და რაც ყველაზე მთავარია, იქვე აქვთ გაკეთებული ჩანაწერი, რომ თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით და ასევე იმ კანდიდატს, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, ან შრომები მასობრივი კომუნიკაციის სფეროსა თუ მასში შემავალ ცალკეულ დარგებში.

დამოუკიდებელი ექსპერტის, ლელი ბიბილაშვილის რჩევებთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ხათუნა კაჭარავასა და აფილირებულ პროფესორს, ზაზა ცოტნიაშვილს.

დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ლელი ბიბილაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან რჩევებზე მოხდა ყურადღების გამახვილება აღნიშნული ნაწილები მთლიანობაში არ მოქმედებს და არ აისახება პროგრამის ფუნქციონირებაზე, ეს უბრალოდ იყო ერთი გარე დარგში გარკვეულწილად გარკვეული ადამიანის რჩევები პროგრამის განვითარებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა დამოუკიდებელ ექსპერტს და დასძინა, რომ დაწესებულება ყველა რჩევას გაითვალისწინებს, რათა პროგრამა უკეთესი გახდეს და მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიციური ექსპერტების რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ხათუნა კაჭარავას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა კაჭარავამ ლელი ბიბილაშვილის რჩევას SPSS-ის გამოყენებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამეცნიერო კვლევის სილაბუსში მე-14 კვირაში აქვთ გამოყენებული/გათვალისწინებული SPSS-ის პროგრამა, შესაბამისად მისი მოსაზრებით ამ კუთხით არანაირი პრობლემა არ შეიქმნება.
საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ, როგორც მისთვის ცნობილია წინა სხდომაზე დაფიქსირდა უკმაყოფილება, რადგან თითქოს მათ უნივერსიტეტს არ ჰქონდა საერთაშორისო გამოცდილება, მან განმარტა, რომ განსახილველ პროგრამაში ჩართული ოთხი პროფესორი, ასევე ჩართული იყო აშშ-ის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში, რომელიც გულისხმობდა მედიის განათლების განვითარებას, ეს იყო ძალიან სერიოზული გამოცდილება პროფესორებისათვის. აღნიშნული პროფესორები იყვნენ: ზაზა ცოტნიაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, ხათუნა კაჭარავა და ეკა თხილავა, მათ აშშ-ში იმუშავეს ორი მიმართულებით: 1. ეს იყო მასობრივი კომუნიკაციის კვლევის შესახებ; 2. მედია განათლების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლები მუშაობდნენ კურიკულუმის შედგენაზე, სწავლის ახალ მეთოდებზე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში მათი ცოდნა/გამოცდილება დაემთხვა ერთმანეთს, მაგრამ ეს მათთვის იყო ძალიან დიდი გამოცდილება და მათ იქვე უთხრეს, რომ ეს იყო აშშ-ის კონტრიბუცია საქართველოსადმი და ის პროფესორები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ პროგრამაში იქნებიან მათი ყურადღების ქვეშ და მუდმივად უწევთ ანგარიშის წარდგენა, ახალი პროგრამის შემთხვევაში მათთან კონსულტაციები და მუდმივად აქვთ კავშირი ამერიკელ კოლეგებთან, საქართველოში ჩამოსული იყო კოორდინატორი, დენის მადსონი, ასევე, ნათარ კანპერტერი, რომელმაც წაიკითხა ლექციები და ჰქონდა მუდმივი თანამშრომლობა, რისი ამსახველი დოკუმენტაციაც ფოტო/ვიდეო მასალა არსებობს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ეს კონტაქტები გრძელდება, თვითონ პროგრამასა და სილაბუსებში ჩადებული აქვთ ის, რომ დოქტორანტს შეუძლია ხელმძღვანელად აირჩიოს პროფესორი, როგორც მათი დაწესებულებიდან, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის აშშ-დან, მათ იციან განსახილველი პროგრამის შესახებ, ჰქონდათ კონსულტაციები და ისინი შესაძლებლობისთანავე აპირებენ საქართველოში ჩამოსვლას.
აფილირებულმა პროფესორმა, ზაზა ცოტნიაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, გამოყოფილი დროისათვის. მან განაცხადა, რომ მათთვის ძალიან საინტერესოა კვალიფიციურ ექსპერტებთან ურთიერთობა, მისი მოსაზრებით სილაბუსში ყველაფერი ნათლად არის წარმოდგენილი და მცირე რეკომენდაცია, რომელიც ეხება შინაარსობრივ ნაწილის ჩაშლას, აღნიშნულ რეკომენდაციას რა თქმა უნდა გაითვალისწინებენ და სილაბუსში უფრო მეტად ჩაშლიან შინაარსობრივ ნაწილს, რათა გასაგები იყოს უფრო ფართო წრისთვის, კურსი კი აგებულია წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მასში მითითებულია აბსოლუტურად თანამედროვე ლიტერატურა, პროგრამა კი გამოსადეგი იქნება საქართველოს ამ რთულ ბრძოლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ იგი გაეცნო პროგრამას, სადაც მითითებულია 180 კრედიტი, რომელიც მისი მოსაზრებით არის ტექნიკური ხარვეზი, რადგან სადისერტაციო დებულება უკვე გასწორებულია. პროგრამის შინაარსობრივ ნაწილში 180 კრედიტია მითითებული და რადგან სხვა დოკუმენტაცია გასწორებულია, შესაბამისად პროგრამაში არის ტექნიკური ხარვეზი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დააზუსტა თუ რომელ დოკუმენტში იყო მითითებული 180 კრედიტი.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააკონკრეტა, რომ ხარვეზი იყო პროგრამის მეორე გვერდზე.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი ჩაასწორეს და ვიზიტის დროს პროგრამა თავიდან გადააგზავნეს. მან განაცხადა, რომ სასწავლო

კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტის, ხოლო კვლევითი კომპონენტი კი 120 კრედიტის, რომელიც დოქტორანტს მას შემდეგ მიენიჭება, რაც ის დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს. საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ არსებობს ერთადერთი ჩანაწერი, რომ სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს, თუმცა ის, რომ სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტი არ უნდა იყოს ეს ჩანაწერი არ არსებობს, მიუხედავად ამისა დაწესებულებამ დააზუსტა და ვიზიტის დროს გააგზავნა ჩასწორებული პროგრამა.
საბჭოს წევრი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას ჩანაწერთან დაკავშირებით, რომ ზუსტად არ არის გაწერილი, მაგრამ ადრე იყო ჩანაწერი, რომ სადოქტორო პროგრამა იყო მინიმუმ 180 კრედიტი, ახლა კი მსგავსი ჩანაწერი არ არის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიერ პროგრამაში სწორედ აღნიშნული ჩანაწერი იქნა გასწორებული.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა თუ რამდენი წერია ნამრავლი, თუ 2250 წერია არ არის სწორი, რადგან 4500 უნდა იყოს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ 4500 უნდა ეწეროს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილს.
საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ გაეცნო პროგრამას და სტრუქტურულად საკმაოდ კარგად არის აგებული, ვინაიდან აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი ერთ-ერთი გადამწყვეტია სადოქტორო პროგრამის შეფასებისას, დაინტერესდა პროცედურულად როგორ ხდება ანტიპლაგიატზე შემოწმება, ამას აკეთებს თვითონ დოქტორანტი თუ უნივერსიტეტი, გარდა ამისა დაინტერესდა თუ რა მოწმდება სადისერტაციო ნაშრომი თუ დროდადრო წარდგენილი სხვადასხვა ნაშრომები, როგორიცაა სასემინარო ნაშრომი, სტატიები და ა.შ. ანუ ყველა ნაშრომი გადის პლაგიატის სისტემაში, თუ მხოლოდ დისერტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა რექტორს, კახაბერ კორძაიას.
რექტორმა, კახაბერ კორძაიამ განაცხადა, რომ აღნიშნული სისტემა ძალიან კარგად აქვთ აწყობილი, ყველა ნაშრომი, რომელიც იწერება დოქტორანტის მიერ იგზავნება ანტი პლაგიატის პროგრამაზე და შემდეგ საბოლოო ნაშრომიც, ამ შემთხვევაში პროგრამა ზუსტად ვერ ადგენს პლაგიატს, რადგან ამას სჭირდება ინტელექტუალური მუშაობა და პროგრამის მიერ ხდება მხოლოდ პროცენტების მიწოდება და შესაბამისი ჩამონათვალი თუ იქნება დამთხვევა სხვა სტატიების ან ნაშრომების, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა რამდენი პროცენტიანია დამთხვევა, ხელმძღვანელმა უნდა შეამოწმოს თუ რატომ იყო დამთხვევა, მართლა არის თუ არა გადაწერილი საიდანმე თუნდაც ერთი აბზაცი, თუ ემთხვევა რომელიმე კანონის ამონარიდს ან თავისივე წინა ნაშრომს, ამის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება ნაშრომი დაიშვას თუ არა დაცვაზე, შესაბამისად პროცენტებს არ აქვს მნიშვნელობა, ნებისმიერი პროცენტის შემთხვევაში ხდება დასკვნის დაწერა ხელმძღვანელის მიერ. ასევე, ყველა ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი ასრულებს უნივერსიტეტის მიერ იგზავნება ანტი პლაგიატის პროგრამაზე, უნივერსიტეტი შემოწმებას ახორციელებს ფაკულტეტების მიხედვით, გამოყოფილი ჰყავთ კადრები, რომლებსაც ევალებათ ნაშრომების გადაგზავნა, პასუხების შემოწმება, ხელმძღვანელისთვის გადაცემა და ა.შ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეროვნულ საბიბლიოთეკო ასოციაციასთან აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება და აქვთ „ურკუნდის“ პროგრამა.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ ხშირად ხდება შემთხვევა, რომ არ აღმოჩნდა პლაგიატი, მაგრამ არის დამთხვევა, განსაკუთრებით იურისტებს აქვთ, რომ წამოღებულია კანონი და რაღაც ნაწილები წერია სადისერტაციო ნაშრომში, მაგრამ თუ ეს დამთხვევები მითითებებით არის მაგ., 80% ეს ხომ გამოდის რომ ნაშრომი კომპილაციაა, ანუ შედგენილია სხვადასხვა ისეთი ტექსტებიდან, სადაც არ არის დოქტორანტის მოსაზრება და დაინტერესდა ხომ არ აქვს დაწესებულებას ზედა ზღვარი, სადაც შეიძლება თქვან, რომ ეს არ

არის პლაგიატი, ყველაფერი გარკვეულია, თუმცა იმდენი დამთხვევაა, რომ ნაშრომს შეიძლება ჰქონდეს კომპილაციის საფრთხე.
რექტორმა განაცხადა, რომ მათი სისტემით ამას გამორიცხავენ, რადგან მათ ნაშრომებში დამთხვევები 20%-ზე ზევით არასდროს ჰქონიათ, მაგრამ 20%-საც თუ უახლოვდება უკვე ხდება ნაშრომის შემოწმება, რომ გაიგონ თუ რა იყო ეს 20% და რატომ მოხდა ამხელა დამთხვევა, არათუ ნაშრომის კომპილაცია, არამედ აბზაციც თუ ემთხვევა ხდება შემოწმება, ეს აბზაცი Copy-Paste-თ არის გადატანილი თუ რატომ დაიჭირა პროგრამამ ასეთი მსგავსება, შემდეგ ხდება დასკვნის დაწერა, რაც გამორიცხავს კომპილაციის შემთხვევას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჰქონდათ შემთხვევა, რომ ძალიან მაღალი იყო პროცენტული დამთხვევა 75% და 80%, მიუხედავად ხელმძღვანელების მიერ ნაშრომების შესწავლისა, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესორების მიერ მიღებულ იქნა გადაწვეტილება, რომ უკან დაებრუნებინათ ნაშრომი ხელახალი გადამუშავებისთვის, თუმცა დოქტირანტურაში ასეთი შემთხვევა არ ჰქონიათ, მისი მოსაზრებით ალბათ უფრო სერიოზულად მუშაობენ, თუმცა სამაგისტრო ნაშრომსაც აუცილებლად ატარებენ ანტი პლაგიატის პროგრამაზე, შესაბამისად ასეთი მაღალი პროცენტის დამთხვევის შემთხვევაში მაგისტრანტს არ უშვებენ დაცვაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:41
დასრულების დრო: 16:47

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
ა) გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ კურსის ფარგლებში. (ან დაემატოს არჩევითი კურსი);
ბ) სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა.
გ) გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით.

რჩევები:
ა) რამდენადაც, მოთხოვნი სშესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისურიენის B2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც,

სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

ბ) კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“ სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა. გარდა ამისა, სასურველია, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსიან მოდულის წავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.

გ) ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია, დაწესებულებამ პირველ ეტაპზე, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

დ) უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურიკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუმქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	კვალიფიკაციის კოდი	განათლების მეცნიერებების დოქტორი, 0111
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	ევგენი მიქელაძის ქუჩა 1ა, 0159, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

სტუდენტ-ექსპერტმა, თეონა კუპრაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ ესწრებოდა სხდომას, თვითონ კი არ იყო ინფორმირებული თუ მას უნდა წარედგინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.
ცენტრის წარმომადგენლის თქმით სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეატყობინა ცენტრს ექსპერტმა, რომ ვერ შეძლებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას და მიმართა სტუდენტ-ექსპერტს, რომ მოკლედ წარედგინა პროგრამის შეფასება და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს შეახსენა, რომ საბჭოს წევრები გაეცნენ ყველა დოკუმენტაციას და ყურადღება გაემახვილებინა ძირითად ასპექტებზე.
სტუდენტ-ექსპერტმა, თეონა კუპრაძემ განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ პროგრამა არ შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო ჩარჩოს და პროგრამაში გათვალისწინებული იყო 180 კრედიტი, მაშინ როდესაც ახალი ჩარჩოს თანახმად, სადოქტორო პროგრამაში სამეცნიერო კომპონენტი არ იზომება. ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, რადგან მითითებული არ იყო ენის საკვალიფიკაციო მოთხოვნა, თუ რა დონეზე უნდა სცოდნოდა დოქტორანტობის მსურველს უცხო ენა მაშინ, როდესაც პროგრამა ინგლისურენოვანია. ასევე იყო ტექნიკური დეტალები, კერძოდ, არ იყო მითითებული, რომ დოქტორანტობის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დოქტორანტის ხელმძღვანელთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის შესახებ ჩანაწერს, თუ როგორი კვალიფიკაციის პირს შეეძლო დოქტორანტის ხელმძღვანელობა. ასევე, უნდა განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის შემფასებლის კვალაიფიკაცია, სადაც მთელი რიგი რეკომენდაციები გაიცა სადოქტორო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით, პროგრამაში ასევე, არ იყო მითითებული სამეცნიერო ნაშრომის დაცვამდე თუ რა პოცედურები იყო საჭირო, არ იყო ინფორმაცია პლაგიატზე შემოწმებასთან დაკავშირებით ინფორმაცია და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ მას სურდა ენახათ რეკომენდაციების ჩამონათვალი, გაცემული იყო 13 რეკომენდაცია და თითოეულ მათგანზე დეტალურად ისაუბრებდა. მან განმარტა, რომ დაწესებულება დაახლოებით 8 თვეა აკრედიტაციის პროცესშია და ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა პროგრამის ხელახალ აკრედიტაციაზე შემოტანა, თუმცა აღნიშნული გახლავთ პრინციპის საკითხი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებს სურთ დაამტკიცონ, რომ წარმოდგენილი პროგრამები კარგია და იმსახურებს აკრედიტაციას ყოველგვარი პირობების გარეშე. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში, რეკომენდაციებამდე ექსპერტთა ჯგუფს უწერია შემდეგი ფრაზა: „პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება“, ანუ ექსპერტთა ჯგუფის და აკრედიტაციის წინა საბჭოს სხდომაზე განხილვის შედეგად ნათელი იყო რომ განსაკუთრებული პრობლემა არ არსებობა და შესაბამისად აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რაზეც საუბრობდნენ და რაც გახდა გადამწყვეტი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-სთან შეუსაბამობის და შეფასების ერთჯერადობის საკითხი. აკრედიტაციის წინა საბჭომ, უფრო სწორად მისმა იურისტმა წევრმა ჩათვალა, რომ საბჭოს ფორმალურად ხელები ჰქონდა შეკრული, რადგან საბჭოს წევრები თვლიდნენ, რომ პროგრამა კარგი იყო და უნდა მიეცათ აკრედიტაცია, თუმცა ამ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ ფიქსირდება წინააღმდეგობა, აღნიშნული საკითხი დაწესებულებამ ყველა დონეზე განიხილა და ისეთი განმარტება, როგორიც საბჭომ მისცა არ არის გასაზიარებელი, თუმცა პროცედურულად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 რომ შეიცვალოს, ვინაიდან

აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ვიზიტის მომენტში არსებული კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, მის შემდგომ განხორციელებული ცვლილება არ ეხმარებათ, ამიტომ დაწესებულება იძულებული გახდა წასულიყო აპელაციის წესით, რათა დაამტკიცონ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში არ წერია ის, რასაც ფიქრობდა წინა საბჭოს უმრავლესობა, ეს იქნება საკვანძო საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლები შეჩერდებიან მე-6 რეკომენდაციის განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ წინა საბჭოს სხდომაზე დანარჩენი 12 რეკომენდაცია იქნა განხილული, რომელიც დაწესებულებამ ძალიან მყარად გააბათილა, ახლა აღნიშნულის გაკეთება თავიდან მოუწევს, რადგან ახალი საბჭო არ იცნობს იმ არგუმენტაციას, რომელიც წინა საბჭომ გაიზიარა 12 საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელი იძულებულია ახალი საბჭოც დაარწმუნოს მათ გაზიარებაში. მან სთხოვა საბჭოს წევრებს თუკი რომელიმე საკითხი ბუნდოვნად ჩამოყალიბებული მოეჩვენებათ, კითხვებით დააზუსტონ და უფრო სიღრმეში შევიდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაჟღერებულ კითხვების დასმის საკითხს

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ წინა საბჭოსთან დაწესებულების წარმომადგენლებმა გააბათილეს 12 საკითხი, დარჩა მხოლოდ ერთი და დარჩენილი საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საბჭოსთვის, რომ პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, არათუ მიეღოთ უპირობო აკრედიტაცია. მისი მოსაზრებით რადგან შემდეგი განსახილველი საკითხიც სადოქტორო პროგრამა იყო ჩანიშნული, დაწესებულების წარმომადგენლებისთვის უფრო მარტივი იქნებოდა ყველაფერი, რადგან განიხილავენ იმ პროგრამას, რომელზეც ექსპერტებმა ხარვეზებად დააფიქსირეს ის, რაც იმ პროგრამასთან მიმართებაში არ ჩათვლილა ხარვეზად და მოინიშნა „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, შესაბამისად, თუ კი „განათლების მეცნიერებების“ პროგრამასთან დაკავშირებით გააბათილებენ „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებზე“ გამარტივდება საკითხების განხილვა. მან მოითხოვა კომპიუტერის ეკრანის გაზიარების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა, რადგან საბჭოს წევრებს ექნებოდათ დამატებითი კითხვებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თითოეულ საკითხზე ისაუბრებდა 2 წუთის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს განუსაზღვრა რეგლამენტი, რათა დასკვნაში წარდგენილი თითოეული რეკომენდაცია განეხილა და სთხოვა განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინა იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც დაწესებულება პრინციპულად არ იზიარებს, რადგან შესაძლებელია არსებობდეს რეკომენდაციები, რომლებსაც დაწესებულება იზიარებდეს, არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებას წარდგენილი აქვს ფრაზა, რომ ზეპირ მოსმენაზე წარმოადგენთ თქვენს პოზიციებს.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ გააზიარა განსახილველი პროგრამა, განმარტა, რომ საბჭოს წევრები ხედავდნენ პროგრამის იმ ვერსიას, რომელიც სააკრედიტაციო განაცხადში წარადგინა დაწესებულებამ.

რეკომენდაცია 1-თან (გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებისა და განვითარების მიმართულებით) დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს აჩვენა პროგრამის ის ნაწილი, სადაც საუბარია პროგრამის მიზნებზე, სადაც პირველი ძირითადი ფრაზაა socially driven, ანუ ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც 21-ე საუკუნეში უნდა იყოს, გულისხმობს საზოგადოებაზე ორიენტირებულობას და შესაბამისად პროგრამაში ერთი აქცენტი სწორედ socially driven-ზე კეთდება; მეორე, უპირატესად ინტერდისციპლინური კვლევები, რომელიც 21-ე საუკუნისთვის ასევე უცნაური არ არის, გამოკვეთილია ლიდერული უნარების მიმართულება და აქცენტი გაკეთებული აქვთ იმ ღირებულებებზე, რის გარშემოც გაერთიანებულია უნივერსიტეტი, ანუ

ის ძირითადი ღირებულებები, რომლის პოპულარიზაციის მიზნითაც შეიქმნა პროგრამა, მე-20 საუკუნეში უნივერისტეტის მამოძრავებელი იყო ცოდნის სამკუთხედი: სწავლება, კვლევა და სიახლის დანერგვა, 21-ე საუკუნეში ეს არის: სოციალური ორიენტირები და შესაბამისად ის სამი ცალკე აღებული აღარ ითვლება საკმარისად, უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული და საზოგადოებრივი დატვირთვის მატარებელი უნივერსიტეტი, შესაბამისად დაწესებულებას სურს მომავალში მიიღოს, რომ განსახილველ პროგრამაში გააღვივონ ის ღირებულებები, რომლებიც უნივერსიტეტს აქვს და ისინი პირდაპირ არის ჩამოთვლილი პროგრამაში, რომელთა განვითარებისკენაცაა მიმართული პროგრამა. ამასთანავე, დაწესებულების წარმომადგენლები ხაზგასმით ამბობენ, რომ მიღება იქნება კოჰორტების მიხედვით და ცალკეული კოჰორტა კონცენტრირებული იქნება კონკრეტულ მიმართებებზე, მათ შორის პერსონალიზებულ განათლებაზე, დიჯიტიზაციაზე, მედიცინისა და სამართლის სწავლებაზე. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, პროგრამის მიზნები ძალიან კონკრეტულად/მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

რეკომენდაცია 2-თან (რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების, როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან მოვიდეს შესაბამისობაში)დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს აჩვენა პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია პროგრამის სწავლის შედეგები სათაურების მიხედვით. მან განმარტა, რომ პროგრამის წარდგენისას დაწესებულებას ჯერ კიდევ ჰქონდა უფლება ძველი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ყოფილიყო შემუშავებული პროგრამა. ძველ კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში იყო დაყოფა, რომელიც პროგრამაშია წარდგენილი, თუმცა მისი თქმით ეს არ არის ძველი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ეს არის უმაღლეს განათლებაში მოქმედი დოკუმენტი „დუბლინის დისკრიპტორი“, ანუ უმაღლესი განათლების ევროპის კვალიფიკაციათა ჩარჩო, ეს, რაც წარდგენილია დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით გაცილებით უფრო მეტად ასახავს საერთაშორისო სტანდარტს, ვიდრე ის, რაც საქართველოში არის მცდელობა, რომ ისევ აღადგინონ, თუმცა ამავდროულად პირველი კრიტერიუმი და სახელი Knowledge and Understanding, ახლაც უცვლელადაა შენარჩუნებული, თუმცა შემდეგ უნარები არის ახლა 4 და დაწესებულებას ეს ოთხივე ცალ-ცალკე აქვს ჩაშლილი, ახლა Applying Knowledge-ს თავზე დაიწერა Skills, თუმცა ამის გარეშეც, რომ არ დაეწერათ მაინც მიხვედრადი იყო, რომ ეს 4 უნარი: კომუნიკაციის, სწავლების, დასკვნის და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი სრულად პასუხობს კატეგორიას, „უნარი“ ახლანდელ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, დაწესებულებას ასევე აქვს ღირებულებების კატეგორია, რადგან ეს არის ის დაყოფა, რომლისაც აღნიშნულ უნივერსიტეტში უფრო მეტად სწამთ, ვიდრე 3 დონიანი დაყოფის, მან დასძინა, რომ შეუძლია ყველა ენაზე თქვას თუ რა სახელებს იყენებენ ევროპაში, აქ კი შეთანხმდნენ და როდესაც ცენტრთან ახალ კვალიფიკაციის ჩარჩოზე იყო საუბარი, მას პირდაპირ უთხრეს, რომ არაფერს კარგავდა უბრალოდ 4-ს აერთიანებდნენ მე-2 კრიტერიუმში, დანარჩენი კი არაფერი იცლებოდა. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით ეს არ არის ისეთი არსებით საკითხი, რაზეც შესაძლებელია მსჯელობა, თუმცა მათ, ტერმინი Skill-ს, იმისათვის, რომ არავინ აღელვდეს ამ საკითხით, გამოყენებული აქვთ პროგრამის ახალ ვერსიაში.

რეკომენდაცია 3-თან (რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით) დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაში სასწავლო კურსად მითითებულია „სწავლების მეთოდები 1“, ანუ ცალკეულ კომპონენტზეა საუბარი ერთ-ერთ საგანზე, რომ იქ მეტი მეთოდები იყოს ასახული პედაგოგიკის მეცნიერებების. ბუნდოვანების გამოსარიცხად დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არაფერი ცუდი არ არის თემატიკის გამდიდრებაში, თუმცა ლაპარაკია სასწავლო კურსზე, რომლის სახელიც არის „სწავლების მეთოდები 1“, თავისთავად სწავლების მეთოდებში ისწავლება სწავლების

მეთოდები, შესაბამისად იმ მეთოდების გაღრმავება/განვითარება ბუნებრივი პროცესია და დაწესებულების წარმომადგენლებს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუმცა მათი მოსაზრებით რეკომენდაციაზე მეტად რჩევის კატეგორიაში შეიძლებოდა გაწერილიყო.
რეკომენდაცია 4-თან (რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2-ზე მეტით, ამასთან, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება/პუბლიკაცია) დაკავშირებით, განაცხადა, რომ პროგრამაში მითითებულია „English language at least level B2“, მითითებულია დონე მინიმუმ B2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აბსოლუტურად იზიარებს კოლეგების რჩევას, რომ C1 ჯობია B2-ს, რაზეც ორი აზრი არ არის, უბრალოდ, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხს უბრუნდებოდნენ ყოველ წინა ეტაპზე, მსჯელობის საგანი იყო, თუ რამდენად ჰქონდა ქვეყანას მზაობა, რომ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობად დაედოთ C1, ანუ ჩარიცხვის წინაპირობა იყოს C1, დაწესებულების წარმომადგენელი აბსოლუტურად იზიარებს, რომ C1 ჯობია B2-ს, მაგრამ ყოველ ჯერზე ამ საკითხის განხილვისას კეთდებოდა დასკვნა, რომ ქვეყანას არ აქვს მზაობა. მითითებულია ჩარიცხვის წინაპირობად B2, ექსპერტთა ჯგუფს კი ჰქონდა შეთავაზება, რომ უმჯობესი იქნებოდა C1 დონე.
ექსპერტმა, თეონა კუპრაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვა, რადგან თვითონ არის ისტორიკოსი, დოქტორანტი და თემებზე, რომლებზეც საუბრობენ უფრო სიღრმისეული პასუხის გაცემა შეუძლიათ ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენ წევრებს და დაინტერესდა შესაძლებელი იყო თუ არა განხილვის გადავადება ან შეკრების მიზნის უკეთ მისაღწევად შეხვედრის გადადება, რათა სხვა წევრებმაც შეძლონ დასწრება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ უცხო ენის წინაპირობის შესახებ ჩანაწერი საბჭოს წევრებს გაუზიარა, რადგან ექსპერტის თქმით მათ არ ჰქონდათ პროგრამაში გაწერილი უცხო ენის დაშვების წინაპირობა.
ექსპერტმა განმარტა, რომ მისი განცხადების მიზეზი არ იყო მხოლოდ ზემოაღნიშნული ფაქტი, ზოგადად, ექსპერტთა პოზიციის გაგება საბჭოს წევრებსაც ენდომებათ და თვითონ ვერ იქნება კვალიფიციური აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან იყო სტუდენტი-ექსპერტის სახელით, შეუძლია ისაუბროს ტექნიკურ გარემოებებზე, სიღრმისეულად პროგრამის შინაარსზე ვერ გასცემდა პასუხს კითხვებზე, შესაბამისად მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა თუ როგორმე გადავადდებოდა შეხვედრა, ისე, რომ დანარჩენი ექსპერტებიც დასწრებოდნენ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვერანაირად დაესწრებოდა, რადგან ავტორიზაციის საბჭოს წევრია, მეორე ექსპერტის შესახებ კი არ ფლობდა ინფორმაციას.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს შეეძლო განხილვის დასრულება და თუ შემდეგ რაიმე პრობლემა დადგება, რაშიც ექსპერტების ჩართულობა დასჭირდებათ ამ შემთხვევაში შეძლებენ გადავადებას, მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა სხდომის გაგრძელება, რადგან შესაძლებელია მათი ძალებითაც შეძლებოდათ კითხვებზე პასუხის გაცემა.
ექსპერტმა დასძინა, რომ მისი მოსაზრებით უკვე გამოთქმულ გარემოებებთან დაკავშირებითაც კი არის საჭირო ექსპერტის მოსაზრების დაფიქსირება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება გაწერილი იყო დასკვნაში.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ნათქვამი და განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს აქვთ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება და ინსტიტუციის მოსმენის შემდეგ, თუ საბჭოს წევრებს გაუჩნდებათ კითხვები ექსპერტებთან, მაშინ მოუწევთ საკითხის გადადება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა გაეგრძელებინათ რეკომენდაციების განხილვა.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია 4-თან დაკავშირებით ბუნდოვანება აღარ არის, რადგან B2 დონე განსაზღვრულია წინაპირობად და ის რომ არ არის, არ შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო რეკომენდაცია იყო C1 დონის გაწერას, აღნიშნულის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელიც თვლის, რომ კარგი იდეაა, გასაზიარებელი, უბრალოდ რამდენად არის ქვეყანა მზად იმისათვის, რომ C1 დონით იღებდნენ დოქტორანტები ეს არის განსახილველი საკითხი.
უნივერსიტეტის კანცლერმა, ეკატერინე აზარაშვილმა შეახსენა, რომ B2-ის გარდა ხარისხს ეხებოდა რეკომენდაცია, კერძოდ წინაპირობას, რომ დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ გაზიარებულ ფაილში მონიშნა შემდეგი ჩანაწერი „Master's degree in education, humanities, social, biomedical orlife sciences, law or any other field relevant for cohorts interdisciplinary research".
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეკომენდაციაში გაწერილი იყო, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება ან პუბლიკაცია.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით რეკომენდაციის აღნიშნული ნაწილსაც რჩევად უფრო აღიქვამს დაწესებულება ვიდრე რეკომენდაციად, რადგან ვერ ხედავენ ვერანაირ იურიდიულ შეზღუდვას, რომ სადოქტორო პროგრამაში ჩაირიცხოს მსურველი გარდა „განათლების მეცნიერებების" მაგისტრისა, ასეთი შეზღუდვები აღნიშნულ სფეროში არ არის, ამიტომ მითითებული აქვთ სხვა სფეროები. პროგრამის მიზნებიდან ჩანდა, რომ მედიცინისა და სამართლის სწავლების მეთოდოლოგიის კუთხით კვლევებზეც აპირებენ მუშაობას, რეალურად მაღალია სინერგიის ეფექტი, დიდი და მძლავრი სკოლები აღნიშნული მიმართულებით უკვე განვითარებულია, როგორიცაა მედიცინა და სამართალი, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სწორედ ამ სფეროს წარმომადგენლების ჩართვა პედაგოგიკის/სწავლების მეთოდების დახვეწის კონტექსტში მხოლოდ მომგებიანი შეიძლება იყოს, ამიტომ რჩევის დონეზე საინტერესო მოსაზრებაა, მითუმეტეს აქცენტი გაკეთებულია სამაგისტრო ხარისხზე, ასევე ექსპერტები ამბობდნენ, რომ პროფესიული გამოცდილება შეიძლება იყოს, ან-ან კავშირი აქვთ რეკომენდაციაში გამოყენებული, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება/პუბლიკაცია, შესაბამისად დაწესებულება ვერ ჩათვლის რეკომენდაციად, თუმცა რჩევის სახით სიამოვნებით გაიზიარებენ.
რეკომენდაცია 5-თან (რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტრუქტურას და მოცულობას) დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საუბარია თუ როგორ არის ჩაშლილი კრედიტები კომპონენტებზე, რასაც დაწესებულება აღიარებს, რომ კრედიტებში აქვთ ჩაშლილი და შესაბამისად საუბარია ახლანდელ რეგულაციაზე, თუმცა უნდა გაიაზრონ თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული გარემოება კანონმდებლობასთან შეუსაბამობას, რადგან კანონი მოითხოვს სასწავლო კომპონენტების კრედიტებში გაწერას და არა კვლევითი კომპონენტის კრედიტებში ასახვას, დაწესებულებას მოუწია მეორე ტურის გამოცხადება კვლევით კომპონენტზე ზუსტად იმიტომ, რომ გარკვეული საკითხები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, თუმცა თუ საუბარია იმაზე, რომ პროგრამა უნდა იყოს 60 კრედიტიანი, რეალურად პროგრამა კი არ უნდა იყოს 60 კრედიტიანი, არამედ სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს 60 კრედიტიანი და დაწესებულებას აქვს უფლება დანარჩენი ნაწილი არ იყოს გაწერილი კრედიტებში, უბრალოდ ამ საკითხთან დაკავშირებით წინ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზეც იყო საუბარი, თუ რამდენად არის ეს ხელისშემშლელი ფაქტორი, წინა საბჭოზე განიხილეს, იმსჯელეს და შეჯერდნენ, რომ რეალურად შესაძლებელია დაწესებულებას კვლევითი კომპონენტები ჰქონდეს ჩაშლილი კრედიტებად, თუმცა პრობლემურად ჩაითვალა მათში შეფასების

გამოყენება, ანუ თუკი ნაშრომის სხვადასხვა თავი დაცვამდე წარადგენინებენ დოქტორანტს და ამის შეფასებას გააკეთებენ, თუნდაც საჯაროდ, ეს პრობლემა არ არის, პრობლემა იქნება მაშინ თუკი მოხდება აღნიშნული კომპონენტების შეფასება, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის თანახმად დისერტაცია უნდა შეფასდეს ერთჯერადად, მან საბჭოს წევრებს აჩვენა, პროგრამის კომპონენტები, თუ რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან, სწორედ ნაჩვენები სქემა უზრუნველყოფდა, რომ სამ წელზე მოკლე პერიოდში შეუძლებელი იყო პროგრამის დაძლევა, რადგან მითითებულია სემესტრები და ბოლო კომპონენტი მეექვსე სემესტრზეა გათვლილი, რაც პროგრამის მესამე წელს წარმოადგენს.

რეკომენდაცია 6-თან (რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან) დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ეს იყო „მტკივნეული საკითხი“, ეს არის პრობლემური საკითხი, მან იკითხა ხომ არ ჯობდა ზემოაღნიშნული ბრძანების კონკრეტული ჩანაწერი ეჩვენებინა საბჭოს წევრებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ არ იყო საჭირო.

უნივერსიტეტის კანცლერის, ეკატერინე აზარაშვილის მოსაზრებით საბჭოს წევრებისთვის ცნობილია განვითარება, რომელიც ამას ჰქონდა, ამიტომ უმჯობესია არ ვიმსჯელოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 რა უნდა ეწეროს და რა არა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ რეკომენდაციების განხილვის შემდეგ საბჭოს წევრები დასვამდნენ კითხვებს და სთხოვა დამსწრე პირებს არ შეეწყვეტინებინათ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარისათვის, დავით კერესელიძისთვის სიტყვა. სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და დასძინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის განხილვა არ იყო საჭირო და ძირითადად ყურადღება გაემახვილებინა დაწესებულების მიდგომა/პოზიცია მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 გახსნა აღქმისთვის, რომ მარტივი მისახვედრი ყოფილიყო თუ რა ნაწილზე იყო მსჯელობა, შეფასების ერთჯერადობის თემა იყო და საბჭომ ჩათვალა რაკი დაწესებულებას ჰქონდა შუალედური კომპონენტები რეალურად გამოდიოდა, რომ საბოლოოდ ირღვეოდა აღნიშნული ბრძანების მოთხოვნა, ცდილობდა ეპოვნა კონკრეტული ფორმულირება, რომ ადგილზე კარგად ენახათ, მაგრამ თუ საბჭოს წევრებმა იციან რა ჩანაწერზეა საუბარი, რომ უნდა შეფასდეს ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, შესაბამისად, რადგან დაწესებულებას აქვს ბევრჯერ, აღნიშნული საკითხი სააპელაციო საბჭოს სხდომაზეც გაიარეს დეტალურად და მათაც გაიზიარეს დაწესებულების დამოკიდებულება და დებულების მოთხოვნა, რომ რეალურად აღნიშნული კომპონენტი - შეფასების ერთჯერადობა დარღვეული არ არის, ასევე დეტალურად განიხილეს სადისერტაციო საბჭოს დებულება, მისი მოსაზრებით შესაძლებელია ბრძანების მაგივრად სჯობდეს დაწესებულების დებულების ჩვენება, რომელშიც აღწერილია თუ როგორ არის შეფასება წარდგენილი, დააფიქსირა მზაობა, რომ ესაუბრა იმ ნაწილზე, რომელიც მისაღები იქნებოდა საბჭოს წევრებისათვის.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა გაეზიარებინათ სადისერტაციო საბჭოს დებულებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა დამსწრე პირებს, რომ არ შეეწყვეტინებინათ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლებისათვის, რადგან საბჭოს წევრებს ექნებოდათ დრო კითხვების დასმისათვის, რადგან ყველა დოკუმენტი წარდგენილია და საბჭო იცნობს ყველა მათგანს, მან სიტყვა გადასცა დავით კერესელიძეს მეექვსე რეკომენდაციაზე სასაუბროდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააზიარა სადისერტაციო საბჭოს დებულება, სადაც წარდგენილია შეფასების იგივე მოდელი, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-შია გაწერილი: დისერტაცია დაცულია, თუ საბოლოო შეფასებაა: 91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude); 81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude); 71-80

ქულა - კარგი (cum laude); 61-70 ქულა - საშუალო (bene); ან 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (rite).
მან განმარტა, რომ აღნიშნულ ნაწილში დისერტაციის შეფასება მართლაც ერთჯერადია, მაგრამ გამიჯნულია მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება, რომლისთვისაც გამოყოფილია 60 ქულა, რაც მნიშვნელოვანი იყო სააპელაციო საბჭოსთვის, მათ აღნიშნულ გარემოებაზე გაამახვილეს ყურადღება, რომ 100 ქულაა აღებული დისერტაციისთვის, ანუ შეფასების ერთჯერადობასთან არ ქმნის პრობლემას, პირიქით 60 ქულაა ნაშრომისათვის, 40 კი დაცვისვის, რაც დეტალურად დასკვნაშიც აქვთ გაწერილი ექსპერტთა ჯგუფს. დაწესებულების განმარტებით მხოლოდ ბარიერია 50%-იანი 60 ქულასთან ბმაში, რათა დაცვაზე იყოს დაშვებული დოქტორანტი, შესაბამისად თუ კი შეფასებებს შორის, 2 შემფასებლის შეფასებას შორის არის აშკარა შეუსაბამობა, რაც 15 ქულაზე მეტში გამოიხატება ინიშნება მე-3 შემფასებელი, საბოლოო ჯამში 60 ქულას იღებენ დისერტაციის შეფასებით და დაცვაზე ხდება დამატებითი 40 ქულის მინიჭება. დაწესებულებას დისერტაციის დებულებაში გაწერილი აქვს, რომ დისერტაცია ფასდება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისგან დამოუკიდებლად, დაცვის შეფასება უნდა იყოს 40 ქულის მინიმუმ 50%, შესაბამისად საბოლოო შეფასებაში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება აისახება 3/5, ხოლო დაცვის - 2/5 თანაფარდობით, საუბარია 60-სა და 40 ქულებზე, ანუ ჯამში მიიღება 100 ქულა, სწორედ ეს იყო სააპელაციო საბჭოსთვის პრინციპული საკითხი, რატომაც დაუჯერეს დაწესებულებას, რომ შეფასება არის ერთჯერად 100 ქულით და ის, რომ მანამდე დოქტორანტს წარდგენილი აქვს დისერტაციის სხვა კომპონენტები, დაწესებულების მთავარი არგუმენტია, რომ გამოდის ჩაკეტილი წრე, თუ ისინი იტყვიან, რომ მანამდე არ უნდა იყოს არცერთი კომპონენტი წარმოდგენილი/შეფასებული, გამოდის, მოთხოვნა დაიბეჭდოს სტატია Peer Reviewed ჟურნალში, Peer Review ნიშნავს წინასწარ შეფასებას, თუ Review არავინ გაუკეთა და ისე დაიბეჭდა, გამოდის, რომ დაცვამდე ვერ მივა ვერავინ, არა მხოლოდ მათ უნივერსიტეტში, არამედ მთელ საქართველოში. ამიტომ, მათი მოსაზრებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ცენტრშიც არის გაზიარებული, რომ შეფასების ერთჯერადობაში არ იგულისხმება მაინცდამაინც ის, რომ ნაშრომი მანამდე არავინ ნახოს, საუბარია დისერტაცია უნდა არსებობდეს, როგორც ნაშრომი და ის შეფასდეს, აქ რამდენად კარგია ეს ცალკე თემაა, რადგან, მაგ., „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ ხშირად სტატიების ჯამში გაიცემა ხარისხი დასავლურ უნივერსიტეტებში, ამიტომ ეს აიკრძალა აღნიშნული ბრძანებით და რამდენად იყო ეს მინისტრის მიზანი დაწესებულების წარმომადგენლისთვის უცნობია, თუმცა მათ შემთხვევაში აღნიშნული პრობლემა არ დგას და სწორედ ამიტომ გაყვნენ ამ პროცესს აპელაციაშიც და ისევ დაბრუნდნენ სააკრედიტაციო საბჭოს წინაშე, რომ მათთან არ არის ერთჯერადობა, როგორც ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, რომელიც „განათლების“ პროგრამას აფასებდა, განსხვავებით იმ ჯგუფისგან, რომელიც „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს“ აფასებდა, რადგან იქაც იგივე საკითხია და მათ პრობლემად არ დაუნახავთ, ექსპერტთა ჯგუფმა კი „განათლების მეცნიერებებში“ ჩათვალა, რომ პრობლემა იყო, შესაბამისად დაწესებულების პოზიციაა, რომ მის მიერ გაზიარებული სადისერტაციო დებულებიდან ნათლად ჩანს, რომ დისერტაცია ფასდება და იგი დაცულია, თუ საბოლოო შეფასებაა: 91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude); 81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude); 71-80 ქულა - კარგი (cum laude); 61-70 ქულა - საშუალო (bene); ან 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (rite), ანუ აშკარად ჩანს, რომ 100 ქულიდან ფასდება, ისიც ჩანს, რომ 60 ქულაა სადისერტაციო ნაშრომი და 40 ქულა კომისიის წინაშე დაცვა, ანუ წარმოსახვით რომ დაუშვან იგულისხმება სხვა რამ, შეფასება უნდა ეწეროს ბოლოში ერთი, გამოდის დაცვაში უნდა დაუწერონ შეფასება, როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო ნაშრომის და თვითონ ნაშრომი არავინ უნდა წაიკითხოს, რაც აბსურდია და მინისტრი ვერ იტყოდა, რომ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები არ წაეკითხა არავის და მარტო მოსმენით, დაცვაზე დაეწერათ ქულა.
რეკომენდაცია 7-თან (რეკომენდებულია „ნიუ-ვიჟენ“ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების,

დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია) დაკავშირებით მან განაცხადა, რომ კოლეგებს ჰქონდათ გარკვეული სახის შეთავაზებები, რაც მისთვის ცუდი არ არის, პირიქით ამის გაზიარება შესაძლებელია, თუმცა რატომ არის რეკომენდაციის დონეზე გაუგებარი იყო, რადგან სადისერტაციო დებულებაში გაწერილი აქვთ თუ რა უნდა იყოს, ანუ მითითებულია ენაც, სიტყვების რაოდენობაც, წარდგენილი უნდა იყოს როგორც აკინძული, ასევე ელექტრონული ვერსიები, შესაბამისად, რეალურად ბევრი საკითხი გაწერილია, თუმცა მისი სურვილი არ არის ყოველ სიტყვაზე გამოკიდება და მისთვის მისაღებია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწერილი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ მეტი ინფორმაცია გაწეროს ფორმატსა და სტილზე, რაც დაწესებულებას გაწერილი აქვს გამომცემლობის სტანდარტში, რადგან არის დისერტაციის დაბეჭდვის ვალდებულება და ამიტომ დაბეჭდვის დროს იცავენ ერთიან სტანდარტს და გამოქვეყნებული დისერტაციები დევს ვებ-გვერდზე, სადაც ძალიან ნორმალურად შეიძლება შეაფასოს ადამიანმა, რომ სტილის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა.
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემდეგი რეკომენდაციები უკავშირდება თვითონ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და იმ ადამიანებს, ვინც ჩართულნი არიან პროგრამაში.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯერ საუბარი იყო სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის გადახედვასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა კრედიტების გადახედვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული ჰქონდათ პროგრამის სტრუქტურაში, დაწესებულებას აქვს თავისი სტილი, სადოქტორო პროგრამებთან მიმართებით, მათ შორის იმ პროგრამებზეც, რომლებმაც რეაკრედიტაცია უპირობოდ გაიარეს, იქაც აქვთ იგივე სტილი დაცული, ანუ აქვთ, მაგ., Basic Tools For PhD Research, ანუ პირველი სემესტრის კომპონენტი, რომელიც 30 კრედიტიანია და ამაზე აქვს ექსპერტთა ჯგუფს მსჯელობა, რომ ძალიან მოცულობითი და მძიმე ტვირთი ხომ არ არის იმ დოქტორანტისთვის, რომელიც ჩაიჭრება კონკრეტულ კურსში, მან განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე განიხილავენ, როგორც ნაშრომის სტრუქტურირებას, სათაურთან და სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს, მუშაობენ კვლევის მეთოდოლოგიაზე, მათ შორის დოქტორანტი თავის დისერტაციასთან დაკავშირებით წარადგენს პირველადი/მეორადი წყაროების ანალიზსა და დისერტაციის შესავალს, აღნიშნულ ეტაპზე ჯერდებიან კვლევის ძირითად Outline-ზე, ძირითად ელემენტებზე, გადადიან ჯგუფში, რადგან ყველა დოქტორანტია ჩართული მასში და ეს არის ის რაც აღნიშნულ უნივერსიტეტს განასხვავებს სხვებისგან, ამიტომ არის მათი სადოქტორო პროგრამები პოპულარული. მაგ., „სამართლის“ სადოქტორო პროგრამაზე წინა მიღებაზე 150 განაცხადი ჰქონდათ 10 ადგილზე, რეალურად დოქტორანტებს ეს მოსწონთ, რომ არ მოწონდეთ არ მივიდოდნენ და ნაშრომებიც არ იქნებოდა ისეთი კარგი, როგორიც არის. შესაბამისად ამ კომპონენტების გადახედვა არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად, რადგან ეს სტრუქტურა განაპირობებს მის განსხვავებულობას, შესაბამისად ის მოსაზრება, რომ თუ კი 30 კრედიტიან კომპონენტს ვერ დაძლევს დოქტორანტი, მას მოუწევს სემესტრის თავიდან გავლა, საუბარი იყო, რომ ისინი დაკავებულნი არიან და შეიძლება გაუჭირდეთ, უფრო მეტიც თუ 2-ჯერ ვერ განახორციელებს აღნიშნული კომპონენტის დაძლევას დაწესებულება თვლის, რომ სწავლის შედეგების მიუღწევლობასთან აქვთ საქმე და დოქტორანტს ეუბნებიან, რომ მისთვის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარება ადრე იყო, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ რეკომენდაციის გაზიარება მათი მხრიდან შეუძლებელია. მან დააზუსტა შემდეგი რეკომენდაციის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემდეგი რეკომენდაცი ეხებოდა დაწესებულების სადისერტაციო საბჭოს.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა შემდეგი რეკომენდაცია (რეკომენდებულია „ნიუ-ვიჟენ“ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის

ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია) და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე გააკეთა განმარტება, ასევე სტილთან დაკავშირებით ისაუბრა მოთხოვნების ნაწილზე და გამოქვეყნების მოთხოვნები დადგენილია გამომცემლობაში.
შემდეგი რეკომენდაციის (რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში) შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას არაფერი აქვს აღნიშნული რეკომენდაციის საწინააღმდეგო, მათ დადგენილი აქვთ ზოგადი სტანდარტი, რომ პირი თავად უნდა ფლობდეს იმ კვალიფიკაციას, რომლის მოსაპოვებლადაც დოქტორანტი ირიცხება პროგრამაზე, რომ იყოს მისი ხელმძღვანელი, აღნიშნული სტანდარტი ისედაც მოქმედებს, უბრალოდ საუბარია დეტალურ გაწერაზე, რომ უფრო ნათლად ჩანდეს რა კონკრეტული მოთხოვნები წაეყენება სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს თემატიკიდან გამომდინარე. მისი მოსაზრებით ზედმეტი სიხისტე შესაძლებელია გადაჭარბებული იყოს, რადგან ინტერდისციპლინურ კვლევებში ხშირია, რომ რამდენიმე ხელმძღვანელის დანიშვნა ხდება საჭირო, თანახელმძღვანელობის რანგში, რათა მოხდეს თემატიკის სრული დაფარვა, ამიტომ სრული მოწესრიგების მომხრე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არ არის, თუმცა გარკვეული დაზუსტებები ამ ნაწილში პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით, შესაძლებელია საინტერესოც იყოს, თუმცა მისი მოსაზრებით ეს არ არის რეკომენდაციის დონე, რადგან თვითონ სტანდარტი, რომ პირი ვინც შეიძლება იყოს ხელმძღვანელი თვითონ უნდა იყოს დარგის სპეციალისტი და უნდა ფლობდეს იმ კვალიფიკაციას, რომლის მოსაპოვებლადაც დოქტორანტი შემოდის პროგრამაზე.
შემდეგ რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება დისერტანტის საკვლევ საკითხთან) დაკავშირებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი დადგენილი არ იყო, ასევე არც იქ არ იყო დადგენილი სადაც თვითონ სწავლობდა, გერმანიაში არ ჰქონდათ ასეთი სტანდარტი, მაგრამ იგულისხმება, რომ შემფასებელი იმ სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს. მისთვის რთული წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება დისერტაცია შეაფასოს არა იმ პირმა, რომელიც ამ სფეროს წარმომადგენელია, და აღნიშნულ სფეროში აქვს კვალიფიკაცია, თუმცა ეს სწორედ ისეთი რეკომენდაციაა, რომლის გაზიარებასთან დაწესებულების წარმომადგენლებს არაფერი საწინააღმდეგო არ აქვთ, რადგან დაზუსტება შეიძლება გაკეთდეს, არც არაფერს მატებს და არც აფუჭებს, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები სრულად ემხრობიან რეკომენდაციას და სიამოვნებით დააზუსტებენ, რომ შემფასებელს უნდა ჰქონდეს ის კვალიფიკაცია, რომელიც უწერიათ ხელმძღვანელზე.
რეკომენდაციის (რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკაციასთან მორგება) შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის არსს ბოლომდე ვერ ჩაწვდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს უწერია, რომ შერჩევის პროცედურასთან, კონკურსის ჩატარებასთან არანაირი პრეტენზია არ აქვთ და ადასტურებენ, რომ აღნიშნულ ნაწილში „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ყოველ შემთხვევაში მათი ჩანაწერი ასე არის აღქმული, უბრალოდ აქცენტი გაკეთებულია კრიტერიუმებზე, სავარაუდოდ ეს უკავშირდება იმ გარემოებას, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან მიმართებით ჰქონდათ პრეტენზიები, მათ შორის საუბარი იყო პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბოლო პერიოდის პუბლიკაციებზე, რადგან ის არის ემერიტუსი პროფესორი, უცხოელია, კერძოდ ამერიკელი და რამდენად შეიძლებოდა ეს ყოფილიყო ბარიერი პროგრამის განხორციელების პროცესში, ასევე კონკრეტული მიმართულებით ჰქონდათ რჩევები ჩამოყალიბებული, პროგრამაში მეტი აფილირებული პერსონალის შესახებ და ა.შ., რაზეც

დაწესებულების პასუხი არის ის, რომ თუ საბჭოს წევრებმა მიაქციეს ყურადღება დაწესებულების წარმომადგენლებმა სხდომის დასაწყისში აღნიშნეს, რომ სამართლისა და მედიცინის მიმართულებით აპირებენ სწავლების მეთოდების კვლევების განხორციელებას და მედიცინას თუ აიღებენ იქ 100-ზე მეტი პროფესორი ჰყავთ იმ კონკრეტულ მიმართულებაში ჩართული, რომლებიც ასევე ამ პერსონალს ამდიდრებდეს მინიმუმ კვლევის ინტერდისციპლინარულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია საკმაოდ დიდი რაოდენობა იყოს სამართლის მიმართულებითაც, შესაბამისად იმ მიმართულებებიდან თანახელმძღვანელების დაინტეგრირება გააძლიერებს აკადემიურ გუნდს და დასკვნაში საუბარი იყო 13 ადამიანზე, რომ 13 პროფესორია ჩართული პროგრამაში და რეკომენდაცია იყო, რომ შემდგომ კონკურსებზე მიზანმიმართულად განათლების მეცნიერების სპეციალისტები აეყვანათ, რათა რიცხვი 13 შეცვლილიყო და გამხდარიყო მეტი.

რეკომენდაცია 11-ის (პროგრამის პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია დარგის შესაბამის სპეციალისტებთან აფილირებული ხელშეკრულებების გაფორმება) შესახებ მან განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა პროგრამის განმახორციელებელ ერთი კონკრეტული პერსონალს, რომელიც ამ მომენტში, რადგან პროგრამას ჯერ აკრედიტაცია არ აქვს მინიჭებული, არის სხვა უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, რაც გარკვეულწილად ხინჯს წარმოადგენდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის, დაწესებულების წარმომადგენელი აბსოლუტურად იზიარებს, რომ აფილირებული პროფესორი მეტი უნდა იყოს, იყო 11 აფილირებული პერსონალი აღნიშნულ პროგრამასთან ბმაში, თუმცა ისიც, გასათვალისწინებელია, რომ პროგრამას ჯერ არ აქვს აკრედიტაცია და მისი განხორციელება, რომ დაიწყება აფილირების საკითხი სხვაგვარად განხორციელდება, აღნიშნული რეკომენდაცია სრულიად მისაღებია დაწესებულებისათვის. მისი მოსაზრებით, რაც უფრო მეტი აფილირებული პერსონალი ეყოლება პროგრამას მით უფრო წარმატებული იქნება პროგრამა.

რეკომენდაცია 12-თან (მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის) დაკავშირებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის თქმით მისთვის უცნაურია, რადგან ექსპერტთა ჯგუფს მანამდე ანგარიშში უწერია, რომ დაწესებულებას საკმაოდ დიდი რესურსი აქვს პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი, აფინანსებენ როგორც კონფერენციებში მონაწილეობას, ასევე გასვლით სხვა ტრენინგ პროგრამებში მონაწილეობას და ეს რესურსი საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი, ამიტომ პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმასთან ბმაში, არსებობს და ექსპერტთა ჯგუფსაც მითითებული აქვს, რომ არსებობს Personal Development Plan-ები, ანუ PDP-ის მოდელი, რაც მისი მოსაზრებით აბათილებს აღნიშნულ რეკომენდაციას, მაგრამ არასოდეს არ არის საკმარისი და პერსონალის განვითარებისთვის სულ უფრო მეტი უნდა გააკეთოს უნივერსიტეტმა და სიტყვა მისცა საბჭოს წევრებს, რომ დაწესებულება უფრო მეტს გააკეთებს პერსონალის განვითარებისათვის.

რეკომენდაცია 13-ის (მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას) შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის გასაკვირი იყო აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა ბიუჯეტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს მხოლოდ დადებითი ემოცია ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა გრაფებად მოითხოვეს გამოყოფა „კომპიუტერული ტექნიკის მოვლის გრაფისა“ და სხვა, მისი მოსაზრებით ეს არანაირად არ არის პროგრამის განხორციელების რაიმე უპირატესობა, რომ ცალკე გამოყოფილი ჰქონდეთ კომპიუტერული ტექნიკისა და მათი მოვლა-შენახვის ველი, მითუმეტეს ძირითადი დანახარჯები გამოტანილია, ცალკე არის შესყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება გაცნობოდა აუდიტის დასკვნას,

დაწესებულების მდგრადობისა და დივერსიფიცირების შესახებ, ასე რომ, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა პროგრამის განვითარებისთვის დარწმუნდნენ, რომ არ არის და პროგრამის ელემენტებთან კავშირში როგორ ჩაიშლება კომუნალური ხარჯები ან კომპიუტერული ტექნიკის მოვლის ხარჯები ზედმეტი დეტალიზაციაა და დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ საბჭოს წევრები დააგროვებდნენ კითხვებს, მათ მოენიშნათ საბჭოს წევრების მიერ დასმული კითხვები და შემდეგ ეპასუხათ მათთვის.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დაადასტურა მისი პატივისცემა ინსტიტუციისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, დავით კერესელიძის მიმართ და დასძინა „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“. მან განაცხადა, რომ მსჯელობის ნაწილის მოსმენიდან გამომდინარე ბევრ საკითხთან მიმართებით არის კამათი შესაძლებელი, მაგრამ შეფასების ერთჯერადობაში მისი დარწმუნება ვერ მოახერხე, რადგან ის, რომ 60-ისა და 40-ის ჯამი არის 100, არ ნიშნავს ერთჯერადობას, 10, 20, 30, 30 და 10, რომ ყოფილიყო ესეც ჯამში არის 100, მაგრამ ეს არ არის ერთჯერადი, „ერთჯერადი“ არანაირად არ ნიშნავს, რომ გაყვნენ ფორმალურ ლოგიკას, თუ რა იფიქრა მინისტრმა საბჭოს წევრისთვის უცნობია, თუმცა მინისტრის მოსაზრება არ იქნებოდა, რომ დისერტაცია არავინ წაიკითხოს, რადგან რეცეზენტმა შეიძლება დაწეროს „დაშვებულ იქნას დაცვაზე“ თუ დაწესებულებას ასე სურს, რომ რეცეზენტმა შეაფასოს, მოიწვიონ დაცვაზე, 100-დან მისცენ 40 ან 60 ქულა, როგორც დაწესებულების წარმომადგენლებს სურთ, მაგრამ ერთჯერადობის პრინციპი არ უნდა დაირღვეს, აღნიშნულ შემთხვევაში პროცედურული დემოკრატია მოითხოვს, რომ თუ წერია ერთჯერადი, უნდა იყოს ერთჯერადი, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ 10 ნაწილად გაიყოფა საბოლოოდ მათი ქულათა ჯამიც 100 იქნება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა საბჭოს წევრის მოსაზრება, უნდა შეფასდეს თუ არა არის სადისერტაციო ნაშრომი კომისიის წინაშე დაცვამდე.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ შეფასება უნდა იყოს 100 ქულით და არ უნდა იყოს ქულების ნაწილი, ეს შეიძლება მოხდეს ძალიან მარტივად, დაშვებულია/არ არის დაშვებული, ვინაიდან ერთჯერადობის პრინციპი, მოითხოვს დისერტაციის ერთჯერადად შეფასებას, ვერანაირად წარმოადგენენ, რომ რეცენზია და დაცვა დროსა და სივრცეში ერთმანეთისგან გაყოფილი მოვლენები არ არის, ამდენად პრინციპი დარღვეულია. მეორე საკითხია თუ კი ეკითხებიან რა დამოკიდებულება აქვს საბჭოს წევრს, მისი თქმით მინისტრის ბრძანების კი არა, არამედ ბევრი კონსტიტუციური ჩანაწერის მიმართ აქვს უარყოფითი დამოკიდებულება, რაც არ აძლევს მათი არ შესრულების უფლებას. მისი თქმით პრობლემა მოგვარებადია, თუ ზემოაღნიშნულ 40 ქულას დაწესებულება შეიტანს დაცვაში და დაცვამდე გამოიყენებს სიტყვიერ შეფასებას - დაიშვას/არ დაიშვას, აღნიშნული არ არის პრინციპული მომენტი და ამ საკითხზე უნდა შეჯერდნენ, რომ განხილვა შედგეს. საბჭოს წევრი ასევე გაეცნო შრომის ბაზის კვლევას, თუმცა მისი მოსაზრებით იგი შრომის ბაზრის კვლევა საერთოდ არ არის, მასში არ არის მითითებული თუ ვინ არიან გამოკითხული 10 ადამიანი და შემდეგ 10-დან სამი გამოკითხული, შესაბამისად ეს კვლევა არ არის. ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხშირად უკამათიათ მას და დაწესებულების წარმომადგენელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მან ექსპერტების რეკომენდაცია წაიკითხა არა ჩაშლით, არამედ ფინანსური მდგრადობის უკეთ ასახვით და ამ შემთხვევაში თქვეს, რომ ვინაიდან სადოქტორო პროგრამას დიდი მოცულობით კვლევები სჭირდება, ამის დანახარჯები უკეთ იყოს ასახული, რათა გამოჩნდეს ფინანსური მდგრადობა, თუმცა როდესაც საბჭოს წევრი გაეცნო ციფრებს, 9.000 ლარის პირობებში და 20 დოქტორანტზე, დაეთანხმა, რომ როგორიც არ უნდა იყოს ლარის კურსის მერყეობა - პოტენციალი ჩანს,

უბრალოდ შეიძლება გაითვალისწინონ და გადაანაწილონ ბიუჯეტის მუხლები უშუალოდ სადოქტორო პროგრამასთან ზედმიწევნით ხარჯებზე, რომ რაც კვლევას ეხება უკეთესად გამოჩნდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს იყო საბჭოს წევრის პოზიცია და არა კითხვა.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და დასძინა, რომ კითხვა ერთჯერად შეფასებასთან, შრომის ბაზარსა და ბიუჯეტთან დაკავშირებით დაისვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს დასმულ კითხვებში და სიტყვა გადასცა საბჭოს წევს, ელენე ჟურავლოვას.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მან დააზუსტა ზემოაღნიშნული 11 აფილირებული პროფესორიდან თუ რამდენი პროფესორია განათლების მიმართულებით, მისთვის გასაგებია ინტერდისციპლინური მიდგომა და მიესალმება, თუმცა გაეცნო პერსონალის CV-ებს და სრული სურათი ვერ ნახა. ასევე, დაინტერესდა სადოქტორო საფეხურთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულების ვებ-გვერდის მეშვეუბით ვერ მოიძია ინფორმაცია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამებთან დაკავშირებით, დაინტერესდა დაწესებულებას განათლების მიმართულებით თუ ჰქონდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გამოეგზავნათ ბმული, სადაც შეძლებდა დაცული დისერტაციების ნახვას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან დააზუსტა მეორე რეოკემნდაციასთან დაკავშირებული საკითხი. ასევე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ-ის მიხედვით, მან შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია თვითშეფასების ანგარიში და პროგრამაც, რომელიც წარდგენილია 2 თებერვალს და დაინტერესდა თუ რატომ არ იყო შედგენილი ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, ვინაიდან ახალ პროგრამებთან მიმართებით ცალსახად იყო მიდგომა, რომ 2019 წელს დამტკიცებული 69/ნ და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ახალი დოკუმენტი ახალ პროგრამებთან მიმართებით ცალსახად იყო მოთხოვნა, რომ გაწერილიყო ახალი შედეგებით, ხოლო ძველ პროგრამებთან დაკავშირებით გაწერილია ვადები და უნივერსიტეტებს მიეცათ საშუალება სხვადასხვა წელს სხვადსხვა მიმართულებები მოეყვანათ შესაბამისობაში. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ თუ როდის იყო წარდგენილი აღნიშნული პროგრამა, რადგან თუ 2020 წელს არის შემუშავებული იგი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ-ის მიხედვით გაწერილ სწავლის შედეგებთან, აქედან გამომდინარე სთხოვა დაეზუსტებინათ ვადები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ანზორ ბერიძეს.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ მართლაც დეტალურად გადახედა ყველა დოკუმენტაციას, მათ შორის, როგორც აკრედიტაციის საბჭოს სხდომის პირველ ოქმს, ასევე სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმს, სადაც განიხლული იყო დაწესებულების არგუმენტები. მან მიმართა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ერთია რა მოსწონთ და მეორეა შესაბამისობაშია თუ არა კანონმდებლობასთან. შესაძლებელია გამართლებულ სისტემად მიაჩნდეს, მოსწონდეს ან არ მოსწონდეს. ეს სხვა თემაა, მაგრამ როდესაც კოლოკვიუმების სახით სტუდენტი ღებულობს შეფასება, იქმნება გარკვეული პრობლემა, მაგ., გაკეთდა პირველი შეფასება და დოქტორანტმა მიიღო მაქსიმალური ქულა პირველ კოლოკვიუმში, ასევე გაკეთდა მეორე შეფასება და მიიღო მაქსიმალური ქულა, ყველა წინაპირობა მიიღო/გაიარა, ყველა ეტაპზე მიიღო მაქსიმალური

ქულა და დაცვაზე შეიქმნა პრობლემა და ვერ დაიცვა, მისი მოსაზრებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის იდეაც სწორედ ეს იყო, რომ შეფასება ერთჯერადად გაკეთდეს. ანუ მისი გადმოსახედიდან ცვლილება სწორედ ამის გამო მოხდა, რომ შეფასება ბუნებრივია უნდა მოხდეს, კოლოკვიუმის სახით იქნება თუ სტატიის გამოქვეყნებით. ეს უნდა განხორციელდეს, მაგრამ ქულობრივად გამოსახვა ქმნიდა ამ ტიპის პრობლემას. დაწესებულების მიერ ნათქვამში ლოგიკა ნამდვილად არის. ესეც შეიძლება გამართლებული სისტემა იყოს, მიუხედავად ამისა, ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით კითხულობენ და თუ ეს ასე არ არის სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დამატებითი არგუმენტების წარმოდგენა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მისი კითხვა ერთჯერად შეფასებასთან დაკავშირებით საბჭოს სხვა წევრების მიერ უკვე გაჟღერებულ იქნა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია და ამ კონტექსტში რომ ინგლისურენოვანი პროგრამაა, რატომ ადარებს დაწესებულების წარმომადგენელი საქართველოში არსებულ სხვა სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობას, და დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა არის თუ არა B2 დონე საკმარისი ინგლისურენოვანი პროგრამაზე სწავლისათვის, ასევე დასძინა, რომ ქართულენოვან პროგრამაზე გასაგები და მისაღებია, მაგრამ არა ინგლისურენოვან პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილს.
საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. ენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მოსაზრებითა და უცხოეთში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით არა სადოქტორო, არამედ საბკალავრო/სამაგისტრო საფეხურზეც კი მოთხოვნილია C1 დონე და შესაბამისად ისურვებდა, რომ მინიმუმ B1 კი არა, არამედ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაადგინონ C1 დონე, უკეთესი შედეგის მიღწევისათვის, C1 დონე არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ უეკეთესად შეისწავლოს/გაანალიზოს დოქტორანტმა შესაბამისი მასალა. მან რჩევებში ამოიკითხა, რომ „სასურველია დისერტაციის დაცვაზე დაშვების სხვა წინაპირობებს ერთ-ერთ წინაპირობად განესაზღვროს პლაგიატზე შემოწმების პროცედურაც, დებულებაში ჩანაწერის დამატებით“, საბჭოს წევრი დაინტერესდა არსებობს აღნიშნული პროცედურა და უნდა გაიწეროს თუ რა მდგომარეობაა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. გარდა ამისა დაინტერესდა აქვთ თუ არა ზედა ზღვარი რამდენი უნდა იყოს ორიგინალი ტექსტი სამართლის დოქტორანტურაზე, და ასევე, თუ რამდენი უნდა იყოს პლაგიატის დამთხვევა. პლაგიატი რომ არ უნდა იყოს ეს ცნობილია, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ თუ აქვთ ზღვარი, თეორიულად ადამიანმა რომ მოინდომოს და წამოიღოს მთელი კანონები, საბჭოს წევრს უნახავს ასეთი დისერტაციებიც, შესაბამისად დამთხვევა შესაძლებელია 80%-იც იყოს, შესაბამისად დაინტერესდა აქვთ თუ არა ორიგინალი ტექსტისთვის დაწესებული ზღვრები, რა შეიძლება იყოს მაქსიმუმი.
საბჭოს წევრმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება შეფასებასთან დაკავშირებით, თუ როგორ განმარტავს დაწესებულება სიტყვას „შეფასება“, ეს არის პროცესი თუ შედეგი, ორივე შეიძლება იყოს, ისიც შეფასებაა დავუშვათ/არ დავუშვათ დისერტაციის დაცვაზე, ამას აფასებს, მართალია ქულას არ წერს, მაგრამ ესეც ხომ შეფასებაა და თუ ამ პროცესს შეხედავენ ისეთ მდგომარეობასთან მივლენ, რომ საერთოდ არანაირი შეფასება არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ თუკი შეხედავენ, როგორც შედეგს და ამით დაავიწროვებენ კანონსაც, არის თუ არა მხოლოდ შედეგი შეფასება თუ ეს არის პროცესი, მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მისი მოსაზრებაა, რადგან საბჭოს სხდომაზე მსჯელობენ და პრაქტიკებსაც ნერგავენ თუ როგორ განიხილავენ სხვადასხვა ტერმინებს, ეს ნაკლებად არის კითხვა, უფრო რეპლიკა/რეკომენდაციაა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.

საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის თქმით მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ძალიან დაწვრილებით განიხილა ერთჯერადი შეფასების საკითხი, სურდა დაეზუსტებინა კონკრეტული საკითხი. კერძოდ, როგორც საბჭოს წევრის მოსაზრებით უკვე დასრულებულ, სადისერტაციო ნაშრომს კითხულობს/აფასებს ექსპერტი, მაგ., 40 ქულით, თუ შეაფასებს გამსვლელი ქულით დოქტორანტს ეძლევა საშუალება, რომ მისმა დისერტაციამ მსვლელობა გააგრძელოს შემდეგ პროცედურებზე, გადადის სადისერტაციო საბჭოში სადაც ფასდება დანარჩენი ქულით (შესაბამისად გამოდის 60 ქულით). იგი დაინტერესდა რეცენზენტები დაუსრულებელი ნაშრომის შეფასებას ახდენდნენ თუ უკვე დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომზე იყო საუბარი. მან განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის დაზუსტება სურდა, რადგან მისთვის ძალიან მნიშნველოვანია უკვე დასრულებულ ნაშრომზეა საუბარი თუ მის ცალკეულ კომპონენტებზე, საბჭოს წევრებს ჰქონდათ ამ თემაზე პოლემიკა და არ ეხება მხოლოდ აღნიშნულ ინსტიტუციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვებზე საპასუხოდ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, დავით კერესელიძეს.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრების კითხვები ეხებოდა მთავარ თემას, რაზეც მსჯელობენ, თუმცა საკითხი სამივეგან სხვადასხვანაირად იყო დასმული, საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე სვამდა კითხვას ხომ არ ქმნიდა პრობლემას დისერტაციამდე შუალედური კომპონენტების (კოლოკვიუმების) შეფასება. მან სთხოვა საბჭოს წევრებს გაესწორებინათ თუ რაიმე არ თქმულს დააბრალებდა, რადგან შესაძლებელია არასწორად დამახსოვრებოდა და ისე არ წავიდეს მსჯელობა, რომ მეორე უკიდურესობაში წავიდეს და რაიმე გაუგებრობა იყოს. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვას უპასუხა, რომ საუბარია დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომზე. ნაშრომი როდესაც ჩაბარდება სადისერტაციო საბჭოს, იგი ნიშნავს სადისერტაციო კომისიას, რომელშიც შედიან შემფასებლები, სადისერტაციო დაცვის ჯგუფი და უშუალოდ ხელმძღვანელი მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. შესაბამისად საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მოდელი, რომ თითქოს დაწესებულება არღვევს სტანდარტს, რადგან იმის ნაცვლად, რომ შემფასებლებმა თქვან დაიშვას დაცვაზე თუ არა, რასაც საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა უპასუხა, რომ ესეც შესაძლებელია ვინმეს მოსაზრებით შეფასებად ჩაითვალოს. მისი მოსაზრებით სრულ აბსურდამდე მივლენ ასე მსჯელობით, შესაბამისად ამ მოდელში საბოლოო შეფასება, ანუ ერთჯერადობა შესაძლებელია ამ ელემენტებით დაირღვეს. საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის კითხვას კოლოკვიუმის შეფასებასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ საბჭოს წევრებისგან განსხვავებით მას არ ჰქონდა ინფორმაცია თუ რატომ ებრძოდა ვინმე კოლოკვიუმის იდეას, რაც მისთვის გაუგებარია, შეცვლაც ისე მოხდა, რომ დაწესებულებამ ვერ გააცნობიერა, ასევე მას არც მიუნიჭებია მნიშვნელობა, რადგან არ ეგონა თუ დაიწერებოდა „უნდა“, აუცილებლად უნდა დაწერილიყო „შეიძლება“, განსხვავება არის იმაში, რომ თუკი იქნებოდა ჩანაწერი, რომ „დისერტაცია შეიძლება შეფასდეს ერთჯერადად“ მაშინ იმ დაწესებულებების პრობლემა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უჭირდათ კრედიტებში ჩაშლა, რაღაცების განსაზღვრა და შეფასება, აღნიშნული პრობლემა ეხსნებოდათ. მან სთხოვა საბჭოს წევრებს გაეთვალისწინებინათ, რომ ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებით, აკადემიური თავისუფლება შეიტანეს კონსტიტუციური, ადამიანის უფლებათა რანგში და უნივერსიტეტის ავტონომიაც იგივე რანგში, კონსტიტუციის ბოლო ცვლილებები თუ იქნება ღირებული, დაფასებული აკადემიური საზოგადოების მიერ, უნდა დაფასდეს ზემოაღნიშნული ორი ცვლილება: უნივერსიტეტის ავტონომია და პროფესორის აკადემიური თავისუფლება, ამ დროს როგორ შეიძლება დაუშვან, რომ მინისტრი დაწესებულებას და პროფესორს მიმართავს ტერმინით „უნდა შეაფასო ასე“, რადგან ეს თავისთავად არა კონსტიტუციური ჩანაწერია, მითუმეტეს, როდესაც საუბარია კანონქვემდებარე აქტზე, წარმოუდგენელია ასე განმარტება. დაწესებულების წარმომადგენელი აბსოლუტურად იზიარებს, რომ შესაძლებელია ყოფილიყო დისკომფორტი, ამიტომაც დაწესებულებამ გამოაცხადა მორატორიუმი სრულად, კვლევით

კომპონენტებზე, ანუ სანამ მინისტრის ბრძანება შეიცვლება და მათ მიიღეს მკაფიო დაპირება, რომ ეს აუცილებლად მალე მოხდება, გამოაცხადეს მორატორიუმი, ანუ არ იყენებენ აღნიშნულ კომპონენტებს, შესაბამისად ეს ბარიერი მოხსნილია. საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასრულდა ნაშრომი და წარდგენილი იქნა ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომელიც ნიშნავს შემფასებელთა ჯგუფს, როგორც ნაშრომის, ისე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის კითხვასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ დისერტაციის დაცვის დროს ყველა არის ჩართული კომისიაში, მათ შორის ორი რეცენზენტი, ვინც წინასწარ აფასებს ნაშრომს და 2/3-ით შედის ნაშრომის შეფასებაში, გარდა ამისა ორი დამოუკიდებელი წევრია, რომელიც მხოლოდ დაცვის მიზნისთვის არის მიწვეული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ საჭიროა დაზუსტება სადისერტაციო ნაშრომს დაცვაზე აფასებენ თუ მანამდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაცვაზე არიან წარმოდგენილი პირები, რომლებმაც მანამდე ნიშანი დაწერეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მოუწოდა, რომ პროცესი გაყოს დროსა და სივრცეში.
დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ თუ რამეს არასწორად იტყვის სხდომის მიმდინარეობისას არ არის დაზუსტება პრობლემა, ამიტომ არ სურს რომ ართქმული არ ათქმევინოს საბჭოს წევრსაც. მან დააზუსტა საკითხი, რაზეც საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ გაამახვილა ყურადღება, რომ მისი შეთავაზება უნივერისტეტისადმი არის ის, რომ აღნიშნული ორი ადამიანი მანამდე გაეცნოს დისერტაციას, ოღონდ თავისი შეფასებები დაასახელოს კომისიაზე დასწრების დროს და არ თქვას წინასწარ. მან განმარტა თუ რატომ არის დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი შეფასების მანამდე თქმა, რადგან იგივე მოდელი მოქმედებს ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ კონკრეტულ ქულებზე მეტი არის სხვაობა პირველ და მეორე შემფასებელს შორის, ერთი ამბობს, რომ ძალიან კარგია, მეორე აღნიშნავს, რომ არ არის ძალიან კარგი, ამ დროს დაწესებულებას აქვს 15 ქულიანი ზღვარი, თუ სხვაობა მეტია 15 ქულაზე, ინიშნება მესამე შემფასებელი, რომლის დამატებითი აზრიც არის ძალიან მნიშვნელოვანი, როდესაც პირველ ორ შემფასებელს აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვს. მისი თქმით სხვა შეფასებას არ იცნობს და რაც უნახავს, რადგან თვითონაც საზღვარგარეთ სწავლობდა და დისერტაციაც საზღვარგარეთ აქვს დაცული, იქ ასეთი პრინციპით მუშაობენ, დოქტორანტს აძლევენ შესაძლებლობას, რომ შეფასება წინასწარ ნახოს დაცვამდე, ადამიანი დაცვაზე მიდის, კონკრეტული პროცედურა, 30 საათიანი მოხსენება და მან თეორიულად არ უნდა იცოდეს ვინ რას ფიქრობს ნაშრომზე, მოსამზადებლად 1 თვე აქვს მინიმუმ, რათა გაეცნოს რეკომენდაციებსა და კრიტიკულ ანალიზს, ეს გახდება პრაფანაცია, რაც შეუძლებელია, რომ მინისტრს უნდოდეს, თან მინისტრიც აღნიშნავს, რომ არ სჯერა პრაფანაციის. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის მოსაზრება, რომ ჯერ ბარდება დასრულებული ნაშრომი და შემდეგ იწყება მისი შეფასება. საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს დაუდასტურა, რომ კოლოკვიუმების შეფასება მანამდე, სანამ სისტემას დაწესებულებას იძულებით შეაცვლევინებდა ცენტრი, ცალკე ჰქონდათ და რეალურად ის შეფასება მხედველობაში არ მიიღებოდა საბოლოო შეფასების დროს, რადგან შესაძლებელია რომელიმე კოლოკვიუმის ელემენტი საერთოდ არ შესულიყო საბოლოო ნაშრომში, ან დახვეწილიყო ისეთ დონემდე, რომ დოქტორანტს გაეთვალისწინებინა შენიშვნები, წარმოუდგენელია, შენიშვნები არ გაითვალისწინონ, რომლებსაც კოლოკვიუმის დაცვის დროს უზიარებენ დოქტორანტს და დოქტორანტების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან ცალსახად პოზიტიურია, დაწესებულებას ყოველ სემესტრში ეუბნებიან რეკომენდაციებს რა უნდა ქნან და არა ბოლოს, აღნიშნული პრაქტიკა ერთ-ერთ დაწესებულებაში დაიწყო, რადგან მან ნახა დისერტაცია, რომელსაც ეწერა „XXI საუკუნის პოლიციელი“ და აუხსნა სტუდენტს, რომ თუ ნაშრომს იმ სახით ვინმეს აჩვენებდა საერთოდ არ იყო დისერტაბელური და ვერ

დაიწერებოდა, ამიტომ არ შეიძლება საკითხი მივიდეს აქამდე, თურმე ერთი შეფასება ბოლოს, საკონტროლო გასროლის სახით უნდა ესროლონ დისერტანტს, რომ მისგან არაფერი გამოვა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რომ საბჭოს წევრისთვის ცნობილი იყო, ბელფასტის ღია უნივერსიტეტი და მისი დაცვის პროცედურული საკითხები, ეს ლოგიკა არ არის, რადგან პროცესი არის გაყოფილი და აქედან გამომდინარე ეს ერთჯერადი არ არის, ამაზე უნდა შეთახმდნენ და დაწესებულება თუ რა პრობლემას ხედავს აქედან გამომდინარე. თუ შეფასება არის გაყოფილი ეს ერთჯერადი არ არის, მან განაცხადა, რომ არ უნდა ედავათ დამოკიდებულებაზე. რაც შეეხება „XXI საუკუნის პოლიციელს", მისთვის უცნობია როგორ და რომელ წლებში მოხდა აღნიშნული ფაქტი, რადგან უნივერსიტეტში ყველა სათაური ჯერ საბჭოზე მტკიცდება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ ყველას აქვს თავისი პოზიცია და ჭეშმარიტებას უფრო აფასებდნენ და აქედან გამომდინარე მეგობრობა უნდა გადადონ გვერდზე და სთხოვა შეთანხმებულიყვნენ განსხვავებული პოზიციის არსებობაზე: საბჭოს წევრი თვლიდა, რომ შეფასების ერთჯერადობა (რაც დაწესებულების წარმომადგენლისთვის უცნობია რას ნიშნავს) ნიშნავს იმას, რომ მანმადე საერთოდ არანაირი კომენტარი არ უნდა გაკეთდეს და ჰკითხა თუ რას ნიშნავს Peer review მისი აზრით.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეს ნიშნავს წინასწარ შეფასებას, მაგრამ მისთვის გაუგებარია თუ რა შუაშია, რადგან მაშინ უნდა იკითხონ თუ რა არის Double blinded rewiev, და ამას არანაირი კავშირი არ აქვს განსახილველ საკითხთან, რეცეზენტი საბჭოთა პერიოდშიც წერდა დასკვნას, რომელიც ეგზავნებოდა დოქტორანტს, რომელსაც ეძლეოდა ვადა მისთვის საპასუხოდ, რეცეზენტი შედიოდა/არ შედიოდა სადისერტაციო საბჭოზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრსა და დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ ესაუბრათ საქმესთან დაკავშირებულ კითხვებზე.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის თქმით მისი კითხვა გულისხმობდა, რომ Peer review ნიშნავს წინაპირობას ყველა იმპაქტ ფაქტორის ჟურნალში გამოქვეყნების, შეუძლებელია დისერტაციასთან დაკავშირებული სტატია გამოქვეყნდეს ის, რომ არ მოხდეს მისი წინასწარი შეფასება, თუ არ მოხდება მაშინ ის არ გამოქვეყნდება Peer reviewed ჟურნალში.
საბჭოს წევრმა იკითხა, სტატია ფასდება 100 ქულით და შემდეგ იგი თუ აისახა დაცვაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა უარყო საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი ფრაზა, და განაცხადა, რომ არ იყო საუბარი აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თამარ ჩხეიძეს.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული თემები სხვა ინსტიტუციებთან დაკავშირებითაც ჰქონდათ მსჯელობა და დაინტერესდა ხომ არ ჯობდა მსჯელობა გაეგრძელებინათ საბჭოს დახურულ სხდომაზე, რადგან დაწესებულების პოზიცია გასაგებია.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრის პოზიცია მისაღებია და მოუწოდა დამსწრე პირებს გაეგრძელებინათ მოკლედ/კონკრეტულად საქმესთან მიმართებით განხილვა. მან სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა უნივერსიტეტის სადისერტაციო დებულების მე-6 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა დისერტაციის დაცვის შეფასება და საბოლოო შეფასების ფორმირებას, პირველივე პუნქტში აღნიშნულ მუხლში წერია, რომ დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისაგან დამოუკიდებლად და სთხოვა განემარტა აღნიშნული პუნქტი, თუკი ეს ფასდება დამოუკიდებლად, რამდენად არის შეფასება ერთჯერადი და 100 ქულა რამდენად იწერება ერთ დღეს, მისი მოსაზრებით სიტყვა „დამოუკიდებლად" არის აქ საკვანძო სიტყვა.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ ხდება ერთ დღეს შეფასება, რისი დაზუსტებაც, საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემაც სთხოვა. მან განმარტა, რომ ერთ დღეს არ ხდება შეფასება, რადგან დაწესებულების წარმომადგენელთა გაგებითა და

რწმენით დისერტაციის შეფასება მანამდე უნდა მოხდეს, თუ მანამდე შეფასება არ განხორციელდა, ასევე არ ხორციელდება დაცვაზე დაშვება, რეალურად ორი რეცეზენტი ნახულობს ნაშრომს და აფასებს, თუ კი შეფასება დადებითია და განსხვავება არ არის 15 ქულაზე მეტი, ანუ თუ ორივე რეცეზენტი მეტ-ნაკლებად მსგავს შეფასებას დაწერს, მაშინ ხდება დაშვება დაცვაზე, ეს ადამიანები არიან სადისერტაციო კომისიის წევრები. საბჭოს წევრებს სთხოვა დაკვირვებოდნენ შინაარსს, თუ აღნიშნული სხდომა იმ დღეს არ დასრულდებოდა, გადაიდებოდა, არ დამთავრდებოდა და იგივე სხდომის გაგრძელება იქნებოდა შემდეგში, ანუ პროცედურა, რომელიც იწყება წერითი კომპონენტის შეფასებით გრძელდება ზეპირი კომპონენტის შეფასებითაც და შემდეგ ეს ორი ჯამდება, მათემატიკაზეა საუბარი, ორ შემფასებელს 60 ქულა ჰქონდა, ზეპირი (დისპუტაციის) დაცვის შემფასებლებს აქვთ 40 ქულა და შესაბამისად საბოლოო შეფასებაში 3/5-ით შედის 60 და 2/5-ით 40, ანუ რეალურად პროცედურა დაიწყო, შეფასების ერთჯერადობაში არ უნდა დაენახათ პრობლემა, ეს ძალიან უცნაური განმარტება იქნებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა საკითხი გასაგები იყო და სიტყვა გადასცა უნივერისტეტის კანცლერს, ეკატერინე აზარაშვილს.
კანცლერმა, ეკატერინე აზარაშვილმა განაცხადა, რომ მას სურდა საბჭოს ყურადღება გაემახვილებინა პროცესუალურ ნაწილზე, დაწესებულებას დიდი ხანია აქვს განსხვავებული შეხედულებების/გაგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის, რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებას არის ის, რომ აკრედიტაციის წინა საბჭომ განხილვის შედეგად ჩათვალა, რომ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და მათ შორის შეფასების ერთჯერადობა იყო შეუსაბამო და წინააღმდეგობაში მოდიოდა ზემოაღნიშნულ ბრძანებასთან, ვინაიდან საბჭომ ასე ჩათვალა, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ გამოაცხადა მორატორიუმი, რაც ნიშნავს, რომ მორატორიუმის გამოცხადებიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში ცვლილების შესვლამდე/თუ შევა, დაწესებულება შესაბამისობაში მოვიდა აღნიშნულ ბრძანებასთან, ზუსტად ეს არის ფაქტობრივი გარემოება, რომ მორატორიუმის გამოცხადებიდან არ არის დარღვეული შეფასების ერთჯერადობის პრინციპი და ასევე, ის კრედიტები, რომლებიც მინიჭებული იყო კვლევით კომპონენტებზე - მოიხსნა ანუ საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას და ორი ახალი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, რომლებსაც უარი ეთქვათ სწორედ ამ შეუსაბამობის გამო, დაწესებულების „მედიცინის“ მოქმედმა, სადოქტორო, საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, საბჭომ მხედველობაში მიიღო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი და შესაბამისად მიანიჭა აკრედიტაცია „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამას, რომელსაც მანამდე ზუსტად იგივე სტრუქტურა/შეფასების პრინციპები ჰქონდა, როგორიც განსახილველ ორ სადოქტორო პროგრამას აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ შეფასების სისტემის ერთჯერადობა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მათემატიკაში არსებობს საწინააღმდეგოს დაშვებით დამტკიცება, თუ მარტო საბოლოო შეფასებას ერთჯერად შეფასებად ჩათვლიან და მხოლოდ ქულები აისახება დაცვის დღეს, მაშინ შეუძლიათ შუალედური შეფასებები გააკეთონ, შემოიღონ წონითი კოეფიციენტები და საბოლოო ჯამში ასახონ, რაც იქნება დისერტაციის შეფასების ყველაზე დიდი პროცედურული დარღვევა, დისერტაციის შეფასების ერთჯერადობა ნიშნავს უკვე დასრულებული ნაშრომის კვლევის შეფასებას, ის ორი კვირის განმავლობაში განხორციელდება თუ 1 დღეს მოხდება, ცხადია რომ რეცენზენტმა წინასწარ უნდა წაიკითხოს, რადგან ანტიპლაგიატიც მან უნდა განსაზღვროს. აღნიშნული პროგრამები ადგენს თავსებადობას და არა პლაგიატს, ადგენს თუ რამდენად არის მეცნიერული სიახლე, ღირებული გამოგონება, რამდენად არის საფუძველი, რომ დოქტორანტი მიენიჭოს ხარისხი. აღნიშნული პროცედურები საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და ერთდროულად დაცვის დროს ვერ განხორციელდება, ამიტომ რეცენზენტის შეფასება რომ შევიდეს ბოლო შეფასებეში, აღნიშნულ

საკითხთან მიმართებით საბჭოს წევრი პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა აქ საუბარია, რომ დისერტაციის ნაწილის შეფასება აბსოლუტურად სხვაა, მაგრამ დასრულებული დისერტაციის შეფასება, უკვე ერთჯერადი შეფასებაა. მისი მოსაზრებით საჭიროა არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის შეცვლა, არამედ განმარტებითი ბარათის დართვა, რადგან ბევრ ინსტიტუციას, მათ შორის საბჭოს წევრებსაც, ყველას სხვადასხვანაირად ესმის აღნიშნული ბრძანების განმარტება.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, დავით კერესელიძეს.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვამ დაწესებულების წარმომადგენელს შეახსენა მის მიერ დასმული კითხვები.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელებაში ჩართული 13 პროფესორიდან 11 მათგანი არის განათლების მეცნიერებების წარმომადგენელი. საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამა არ აქვთ, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე მიმდინარეობს მუშაობა, ჯერ-ჯერობით არ არის წარდგენილი სააკრედიტაციოდ, რაც განპირობებულია იმით, რომ სადოქტორო პროგრამები არის დაწესებულების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე და თუ საბჭოს წევრები გაეცნობოდნენ პერსონალს, ხელმძღვანელებსა და თანახელმძღვანელებს, დაწესებულება ამაყობს მათი არსებობით, პასი სოლბერგი, ვინც განათლებასთან დაახლოებით რა კავშირი აქვს იგივე ფინეთის განათლების სისტემასთან და შესაბამისად რა როლი შეუძლია შეასრულოს საქართველოში მის მიერ ორგანიზებულმა პროგრამამ, დაწესებულების წარმომადგენელს ამის სჯეროდა და სჯერა, რომ პროგრამას უნდა მიეცეს განხორციელების შესაძლებლობა, აქედან გამომდინარე ერთსაფეხურიანი და სამაგისტრო დონის პროგრამები მომავალში ექნებათ, თუმცა სკოლის ფორმირება დაიწყეს ზემოდან, რათა შეკრან დოქტორანტების ბირთვი, რომლებსაც შემდეგ ჩართავენ მათივე პროგრამების განვითარებაში. C1 ენის დონეზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო და სიამოვნებით გაიზიარებდა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც საქართველოში აღნიშნული საკითხი დაისვა, ჩაითვალა, რომ C1-ის დაშვების წინაპირობად აღება პრობლემურია, მაგრამ დაეთანხმა, რომ შეიძლება არგუმენტად აიღონ, რომ ვინმემ უნდა დაიწყოს და რადგან პროგრამა ინგლისურენოვანია დაშვების წინაპირობაშიც მიეთითოს აღნიშნული მოთხოვნა, რაც აწევს თამასას, ამიტომაც აჩვენა პროგრამაში ჩანაწერი, სადაც დაწესებულება გულისხმობს, რომ წყალგამყოფია დასხმული და როდესაც კონკურსია, რომელშიც ბევრი პირი მონაწილეობს, ენის კომპეტენცია უფრო მაღალი დონის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია ჩარიცხვის, ის რომ კონკურსზე არ დაიშვება პირი, რომელსაც B2 დონეზე ნაკლები კომპეტენცია აქვს, არ ნიშნავს, რომ ვინც ჩააბარებს ყველა შემთხვევაში B2 დონით ჩააბარებს, ეს არის მათი სამართლებრივი ლოგიკა, შესაძლებელია C1 დონეც ჰქონდეს და მეტიც. მან განაცხადა, რომ ეს არ არის იმ ტიპის დარღვევა, რომელიც რაღაც დონეზე დაფიქსირებულია და მისი არ დაცვის შემთხვევაში პროგრამას აკრედიტაციის კუთხით კითხვა უნდა დაესვას, თუმცა გაზიარების მხრივ სანამ ეს ამბავი მოხდებოდა უყურებდა პროცესს, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული და დაწესებულების წარმომადგენლებს თეორიულ დონეზეც კი არ დაუშვიათ ასეთ შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა შრომის ბაზართან დაკავშირებული კითხვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა დამოუკიდებელ ჯგუფს დაუკვეთა კვლევა დამოუკიდებელ ჯგუფს და შესაბამისად, მისთვის უცნობია დეტალები და შესაბამისად არ სურს კომენტარის გაკეთება, მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის კანცლერს.

კანცლერმა, ეკატერინე აზარაშვილმა განაცხადა, რომ ერთადერთი რაც ახსოვს მისთვის უცნობია თუ რატომ ჰქვია შრომის ბაზრის კვლევა, რადგან რეალურად დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი უნდა ყოფილიყო და რამდენიმე დამსაქმებელი, რომელიც აღნიშნულ სფეროში იყო ჩართული განხორციელდა მათი გამოკითხვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ შრომის ბაზრის კვლევა ეს არის ნახევარ გვერდიანი დოკუმენტი, სადაც მითითებულია რომ გამოიკითხა 10 ადამიანი, საიდანაც სამმა შეავსო კითხვარი, დოკუმენტში არ იკითხება როდის და სად ჩატარდა გამოკითხვა, თუ სად ჩატარდა გარკვეულ დონეზე გასაგებია, რადგან 3 ინსტიტუცია გამოკითხული, მაგრამ ამავდროულად აქვთ კითხვარის სტანდარტული ფორმა, რესპოდენტებისთვის ასევე გადასაცემი ცხრილები, მაგრამ არის ნახევარ გვერდიანი შრომის ბაზრის კვლევა და დაინტერესდა თუ რამდენად არის აღნიშნული კვლევა ვალიდური/სარწმუნო.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შესაძლებელია ეს იყოს ტექნიკური ხარვეზი და წარდგენილი იყოს მხოლოდ დასკვნის ნაწილი, რადგან ეს დაუკვეთეს გარე პირებს, რომლებმაც სამ ინსტიტუციაში ჩაატარეს დეტალური ინტერვიუები და შესაძლებელია ეს იყოს შემაჯამებელი დასკვნა ან რაიმე მსგავსი, მისთვის უცნობია ის დოკუმენტი თუ რაზე საუბრობენ და ამიტომ უჭირს პასუხის გაცემა.
კანცლერის მოსაზრებით ტექნიკური ხარვეზია და კვლევა, რომელიც დაუკვეთეს არ იყო მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული და შესაბამისად როგორც ჩანს დოკუმენტში არის გარკვეული სახის ხარვეზი, რადგან სხვადასახვა მიმართულების პროგრამებზე იყო საუბარი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კვლევები არის Staff and Student Survey, მაგრამ არის დოკუმენტი Labor Market, სადაც არის ნახევარ გვერდიანი ბაზრის კვლევა და ორი დანართი, კითხვარი დამსაქმებლებისთვის და დანართი 1, სხვა დოკუმენტი არ არის წარდგენილი.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ კანცლერს სთხოვა ენახა აღნიშნული დოკუმენტი და განმარტება გაეკეთებინა საბჭოსათვის რათა არ დარჩეს უკმარისობის გრძნობა. მისი მოსაზრებით ეს არის მთლიანი კვლევის კონკრეტული სეგმენტი და თუ კითხვარები არის წარმოდგენილი შესაძლებელია ამონარიდები აიტვირთა პროგრამის მიზნებისთვის, მაგრამ შესაძლებელია სრული კვლევის გაზიარება.
პლაგიატის ზედა ზღვართან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ის შედეგები, რაც პლაგიატზე შემოწმების პროგრამას აქვს - გადამოწმდეს კომპეტენტური პირის მიერ, რადგან პლაგიატმა შესაძლებელია აჩვენოს თუნდაც 30%-იანი დარღვევა, მაგრამ აღმოჩნდეს, რომ ყველგან მითითებულია სათანადო ციტირებაა, რასაც პლაგიატის პროგრამები არ აღიქვამენ და თვლიან, რომ ეს არის სიტყვა-სიტყვითი ციტირება, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია დათქმული ზღვარი არ აქვთ, სამაგისტრო საფეხურზე აქვთ ბევრად უფრო მარტივი მიდგომა, რადგან პროცენტულ ბარიერს აქცევენ ყურადღებას და თუ დაფიქსირდება 30% აღნიშნული უკვე დიდი პროცენტული მაჩვენებელია. მაგრამ როდესაც საუბარია დოქტორანტურაზე, აქ კონკრეტული ზღვარი არ არის, რადგან ინდივიდუალურად მოწმდება დისერტაცია პირველ რიგში ხელმძღვანელის და შემდეგ რეცენზენტების მიერ, რომლებიც ფილტრავენ ტექსტის ორიგინალობისა და კვლევის შედეგების დამაჯერებლობის/გამჭვირვალობის კონტექსტს.
წარდგენის ვადებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც წარადგინეს, ეს მოხდა ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, მათ მითითებული ჰქონდათ ძველი კოდიც, რადგან იმ მომენტში და იმ პერიოდში ეს შესაძლებელი იყო, მათ ცენტრმა ხარვეზი დაუდგინა და სთხოვა, რომ რადგან ახალი პროგრამა უმჯობესი იქნებოდა მიეთითებინათ ახალი კოდი და ხარვეზში პირდაპირ მიუთითეს, რომ ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს კოდი გამოეყენებინათ, შედეგად მიიღეს ის, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კოდი შეცვალეს მითითების შესაბამისად, მაგრამ ცხრილი შეცვალეს მხოლოდ იმ კონტექსტში, რომ შეუცვალეს სათაური, ანუ საუბარია სამ დონიან ჩაშლაზე და დაწესებულებას გამოყენებული აქვს ძველი ექვს დონიანი ჩაშლა, მაშინ, როდესაც ცენტრის წარმომადგენლები განხილვის დროს მას უმტკიცებდნენ, რომ არც

დუბლინის დისკრიპტორითა და არც უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების უგულებელყოფას ისინი არ მოახდენდნენ და ის უნარების ოთხი დონე გააერთიან და ერთ დონეში.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დასძინა, რომ ახალი ჩარჩოს მიხედვით განხორციელდა მათი ინტეგრირება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნ.ბ. იყო ჩართული და შედარებითი ანალიზიც კი გააკეთეს, რომ დარწმუნებულიყვნენ ხომ არ არღვევდნენ დუბლინის დისკრიპტორის მოთხოვნებს, რეალურად ეს არის ის, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანა და მისი დასკვნაა, რომ ოთხი ცალ-ცალკე გამოყოფილი უნარების კატეგორია ერთიანდება ერთში, შესაბამისად ტერმინოლოგიურად თარგმანი, რისი როგორ გაკეთდება, პრინციპულად/არსებითად მნიშვნელოვანი არ არის, ის რომ სახელები გადათამაშდეს ცუდი არაფერია, სხვა ცვლილებაზე არ არის საუბარი. დაწესებულების წარმომადგენლები არ ამბობენ, რომ ეწინააღმდეგებიან საკვალიფიკაციო ჩარჩოს, შეიძლება მოსწონდეთ/არ მოსწონდეთ, მაგრამ რადგან მოქმედებს უნდა დაიცვან, მისი მოსაზრებით ის რწმენა, რაც დაწესებულებას აქვს ის გადაჯგუფება სათაურების დონეზე აგვარებს საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თეონა მატარაძეს.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. იგი დაინტერესდა პირობითად რომ მიიღონ B2 ენის დონის მქონდე სტუდენტი, პროგრამა არის ინგლისურენოვანი, ანუ დისერტაცია უნდა დაიწეროს ინგლისურად, რა მექანიზმია იმისთვის, რომ სტუდენტმა გაიუმჯობესოს B2 დონე და გახდეს C1 დონე, რაც დისერტაციის ინგლისურ ენაზე შესრულებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.
კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში არის ერთი საგანი „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები“, რომელიც საკმაოდ დატვირთულია, თუმცა შეფასების კომპონენტში, ძირითადად არის მეორად ანალიზზე გაკეთებული აქცენტი, სტატიის ანალიზზე, შესავლის მომზადებასა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად ემპირიული მეთოდები არის წარდგენილი, თუმცა დავალებების კუთხით ნაკლებად ხდება ინსტრუმენტის შექმნაზე ან გაანალიზების კუთხით მუშაობა, და დაინტერესდა თუ რამდენად მოიაზრებენ დაწესებულების წარმომადგენლები, რომ სადოქტორო ნაშრომები უნდა იყოს ასევე ემპირიული კვლევის კომპონენტით წარდგენილი და რამდენად იძლევა ამის შესაძლებლობას აღნიშნული სასწავლო კურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, დავით კერესელიძეს.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქართულენოვან პროგრამებზეც მოთხოვნა აქვთ ინგლისურის ენის B2 დონე, თუმცა იქ ნაშრომს ხშირად წერენ ინგლისურ ენაზე, როდესაც ადამიანს ეს კვალიფიკაცია აქვს, მაგრამ თუ კითხვა არის ენის კომპონენტს დამოუკიდებლად უვითარებს თუ არა დაწესებულება დოქტორანტს პასუხი არის არა, რადგან ასეთი ელემენტი, როგორც პროგრამაში ნახავდნენ არ არის, თუ მას ამის საჭიროება აქვს, დაწესებულებას აქვს ენის ცენტრი, რომელიც ენის გაუმჯობესების კომპონენტებში ეხმარება, არა მხოლოდ დოქტორანტებს, არამედ ყველა მსურველს, რადგან პროგრამების უმრავლესობა არის ინგლისურენოვანი და სტუდენტები ჰყავთ 77 ქვეყნიდან, მათ შორის: Native speaker-ებიც და აქვთ ბევრი მეთოდები, მაგ., Peer learning-ის ელემენტები და Tutoring, რომლის დროსაც სტუდენტებს აქვთ საშუალება ენის კომპეტენცია Native speaker-ებთან გაიუმჯობესონ, საფრთხეს ვერ ხედავდნენ B2 დონის სტუდენტების მიღებაში, რადგან კონკურსია და ქულა გადამწყვეტია B2 დონისას იღებენ მაშინ, როდესაც C1 დონის შემომთავაზებელი კონტიგენტი აღარ არის. სტატისტიკას რაც შეეხება, წინა მიღებაზე 150 განაცხადი ჰქონდათ 10 ადგილზე, დაახლოებით ესენი არიან ის, ვინც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შესაბამისად მოთხოვნა/სელექცია დიდია, რეალურად ალბათობა, რომ ენის ბარიერი გადალახვის შემთხვევაში მიიღონ ძალიან კარგი კომპეტენციის მქონე ადამიანები ამის დიდი მაჩვენებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ამბობს იმას, რომ C1 არ ჯობია B2-ს, სრულად იზიარებენ აღნიშნულს და თუ საბჭო თვლის, რომ ეს არის პრინციპული საკითხი ამის გაზიარება სრულიად შესაბამისი იქნება, კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ დაწესებულების გადმოსახედიდან ეს ბარიერი არ არის იმისთვის, რომ მიიღონ დოქტორანტი პროგრამაზე, რადგან თუ ნაშრომი არ შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს, ერთადერთი, რატომაც ეს ცუდია, არის ის, რომ დოქტორანტს აწვალებენ ფუჭად, რადგან ვერ შეძლებს შესაბამისი დონის ნაშრომის დაწერას, რეალურად, თავიდანვე ახსენეს Basic tools for PhD Research კომპონენტი იმის ფარგლებში, ეს არის ექვს თვიანი კომპონენტი და საკმაოდ აქტიურად მუშაობენ დოქტორანტთან ამ საკითხზე, პირველი ეტაპი ეძღვნება იმ სტრუქტურის გააზრებას, რომელიც უნდა ჰქონდეს ნაშრომს, შესაბამისად არის შეფასების ოთხი ელემენტი, მეორადი წყაროს ანალიზი არის მესამე კომპონენტი, თუმცა მის გარდა არის პირველადი წყაროების ანალიზი - მეორე კომპონენტი და პირველი კომპონენტი არის ნაშრომის სათაური და სტრუქტურა, ანუ როდესაც ჯერ იაზრებენ სტრუქტურირებულად როგორ უნდა მოხდეს კვლევის კომპოზიცია და შესაბამისად ბოლოს აჯამებენ იმით, რაც შედის შესავალში, რომელშიც მითითებულია ელემენტები, ოთხ ძირითად ელემენტზე მიმდინარეობს მუშაობა შესავლის ფორმატში: მიზანი - ყველაზე მნიშვნელოვანი, მეთოდი - ყველა მეთოდის ანალიზის საფუძველზე თავის დისერტაციაზე მორგებულ მეთოდოლოგიაზე გაწერს; შემდეგ არის აქტუალობის ელემენტი და სტრუქტურის ახსნა, ჩაშლა, თუ რომელ თავში, რაზე იქნება საუბარი, ეს არის დასკვნითი კომპონენტი. წარმოსადგენია ოთხი კომპონენტი, რომელიც მოიცავს, როგორც მიზანთან დაკავშირებულ ამოცანებს, ასევე მეოთოდოლოგიასთან და სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს და ცალკე კომპონენტებად მოიცავს პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზს, უშუალოდ კვლევის კონტექსტში.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დამსწრე პირებს. იგი დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აქვს თუ არა დოქტორანტს ვალდებულება, რომ სტატია გამოაქვეყნოს ისეთ რეიტინგულ გამოცემებში, როგორიცაა web of sience ან scopus-ი.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ საბჭოს წევრი შეეხო საკვანძო საკითხს, რადგან დისკუსია მიმდინარეობს სწორედ იმაზე წინასწარ ნაშრომის რაიმე ნაწილი უნდა ნახონ თუ არა და უნდა განხორციელდეს თუ არა მისი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ გამოქვეყნება აუცილებელია და სწორედ ამიტომ არიან დილემის წინაშე, რადგან სთხოვენ პუბლიკაციებს, ეხმარებიან პუბლიკაციებში და ამ მიმართულებით ბიუჯეტიც აქვთ გამოყოფილი, შესაბამისად რეალურად ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომ დარწმუნდნენ კვლევის შედეგები არის საინტერესო არა მხოლოდ ქართული მოხმარებისთვის, არამედ საერთაშორისო აქცენტით, მითუმეტეს ინგლისურენოვანი პროგრამაა, რადგან მათ აქვთ პრეტენზია, რომ ის ცოდნა/ღირებულებები, რაც ვითარდება უნივერსიტეტში ღირს გაუზიარონ სხვებს და გაიტანონ გარეთ, დაწესებულების მოთხოვნები პროგრამაშიც და თვითშეფასებაშიც მითითებულია, თუმცა რაღაც ნაწილზე მორატორიუმი მოქმედებს იძულებითი წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განაცხადა, რომ საბჭოზე ნამდვილად არ თქმულა სტატიების არ მოთხოვნის შესახებ. იგი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დისერტაციის დაცვას წინაპირობები უნდა ჰქონდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრს ფრთხილად უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, რადგან შემდეგ რამე არ დაბრალდეს, თითქოს რამე გააჟღერა. საკითხი არის ის, რომ Peer Review-ის ელემენტი, რაც წინასწარ შეფასებას ნიშნავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხარისხისთვის, რაც გამოდის ჩაკეტილი წრე და ან უნდა იყოს პრეტენზია ხარსხზე და ან არა.

მისი თქმით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 ესმის მას და მინისტრსაც ასე ესმის, რომ რეალურად საუბარი იყო, საბოლოო, როგორც ესთეტის არსებობაზე და მის შეფასებაზე, ის არ ამბობს, რომ ეს სწორია, რადგან, მაგ., „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ ხშირია, როდესაც სტატიების გამოქვეყნების შედეგად ინსტიტუცია ხარისხს პირდაპირ ანიჭებს, ეს ჩვეულებრივი და დასაშვებია დასავლურ კულტურაში და აქ არაფერი საწინააღმდეგო არაფერია, თუმცა დაწესებულებას არ აქვს ეს მიდგომა და უქმნიან პრობლემას იმაზე რაც არ აქვთ, ითხოვენ დასრულებულ ნაშრომს, დისერტაციას და აფასებენ დისერტაციას საბოლოოდ 100 ქულით და ის რაც შეძლება თეორიულად დაუშვან, რატომაც გაჩნდა ბრძანება №3-ში აღნიშნული ჩანაწერი არის ის, რომ სტატიებში არ მიენიჭოთ ხარისხი, დისერტაციის, საბოლოო ნაშრომის გარეშე, იმ ადამიანების საყურადღებოდ, ვისაც მიაჩნიათ რომ ეს ლოგიკა სწორია და უნდათ, რომ შესაძლებელია სტატიებში მიანიჭონ ხარისხი, მისი მოსაზრებითაც შესაძლებელია, თუმცა საქართველოს კანონმდებლობით არ შეიძლება. მან სთხოვა საბჭოს წევრებს განემარტათ თუ რა შუაში იყო განსახილველი დაწესებულება, რადგან ასეთი მიდგომა მათ არ აქვთ, და რაც არ აქვთ სწორედ იმ საკითხზე ეუბნებიან რომ აქვთ, მიუხედავად ამისა, რომ ჰქონდეთ მსგავსი მიდგომა დაწესებულებაში არ ითაკილებდნენ და გააკეთებდნენ შესაბამის განმარტებას.
კანცლერმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით კოორდინატორმა საერთო ჩატარებული კვლევიდან ამოკრიფა კონკრეტულად განათლების მიმართულებასთან დაკავშირებული საკითხები და გარკვეული ფორმატი მისცა, შესაბამისად ტექნიკურად ის დევს დოკუმენტაციაში, რომელიც საბჭოს წევრებს გადაეცათ, მან ასევე განაცხადა, რომ არ სურს მისი მხრიდან უყურადღებობად ჩათვლილიყო, ამიტომ გააზიარა ზემოაღნიშნული კვლევის ანგარიშის სრული ვერსია.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ კმაყოფილების კვლევა სხვა რამეა და საჭიროებათა კვლევა სხვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ ეს არის დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში.

კანცლერმა განმარტა, რომ მითითებული დოკუმენტი არის სრული კვლევიდან ამოღებული ნაწილი, 2019 წელს ჩატარებული, 40 გვერდიანი ანგარიში, იმ დროისათვის დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მსჯელობის საკითხი იყო სამაგისტრო პროგრამა უნდა შეექმნათ თუ სადოქტორო, აქედან გამომდინარე დაადასტურა, რომ როგორც ახალი მიმართულება და ძიება თუ რა უნდა გაკეთებულიყო ახალ მიმართულებაში მხოლოდ ჩაღრმავებული ინტერვიუ შედგა სამ ადამიანთან: ხარისხის ცენტრის წარმომადგენელთან და ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან წარმომადგენელთან, მისი განმარტებით უმჯობესი იქნებოდა, რომ მთლიან ანალიზს გაცნობოდა საბჭო და არა მისი ნაწილს.
ბიუჯეტთან დაკავშირებით მან სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ არანაირი კითხვა არ დასმულა ვიზიტის დროს ბიუჯეტთან დაკავშირებით, მისი თქმით საბჭოსთვის გაგზავნილ დოკუმენტში ასევე უნდა იყოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი და ის რა ბიუჯეტზეც ექსპერტები საუბრობენ, რომ გამოყოფილი უნდა იყოს კომუნალური ხარჯები, ტექნიკის ხარჯები და ა.შ. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, რომელიც მოიცავს 42 მილიონს, წარდგენილი კი არის კონკრეტულად განათლების სადოქტორო პროგრამისთვის ჩაშლილი ბიუჯეტი, სადაც ისიც კი არ არის გათვალისწინებული, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი რა ანაზღაურებას იღებს, რადგან კონსოლიდირებული ბიუჯეტი ითვალისწინებს მუდმივი პერსონალის ფიქსირებულ ანაზღაურებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:06
დასრულების დრო: 20:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

20:35 საათზე საბჭო დატოვა გაიოზ ფარცხალაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
ა)რეკომენდებული გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებისა და განვითარების მიმართულებით;
ბ)რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან მოვიდეს შესაბამისობაში;
გ)რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით;
დ)რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2 ზე მეტით, ამასთან, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება/პუბლიკაცია;
ე)რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტუქტურას და მოცულობას;
ვ)რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
ზ)რეკომენდებულია „ნიუ-ვიჟენ“ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია;
თ)რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში;
ი)რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება დისერტანტის საკვლევ საკითხთან;
კ)რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკაციასთან მორგება;

ლ)პროგრამის პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია დარგის შესაბამის სპეციალისტებთან აფილირებული ხელშეკრულებების გაფორმება;
მ)მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის;
ნ)მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას
ო)ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა პროგრამასთან მიმართებით.

რჩევები:
ა)კომპეტენციების რუკაზე სრული ინფორმაციის მონიშვის მიზით უნდა გადაიხედოს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სშინაარსი.
ბ)სასურველია გაიზარდოს სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის მინიმალური შემადგენლობა (3 წევრი), რაც გაზრდის სადოქტორო ნაშრომის დაცვის ლეგიტიმაციას, მით უფრო, რომ დებულების მიხედვით, ორივე შემფასებელი კვლავ შეიძლება იყვნენ ამკ ომისიის 2 წევრი.
გ)სასურველია დისერტაციის დაცვაზე დაშვების სხვა წინაპიბირობებს ერთ-ერთ წინაპირობად განესაზღვროს პლაგიატზე შემოწმების პროცედურაც, დებულებაში ჩანაწერის დამატებით.
დ)სასურველია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის კულტურის კომიტეტს შორის პასუხისმგებლობათა თანაბარი გადანაწილება, თანამონაწილეობისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი.
ე)სასურველია საერთაშორისო/ განათლების სფეროს წარმატებული მკვლევრების მონაწილეობით პროგრამების გარე რეფერირების პრაქტიკის დამკვიდრება და დოკუმენტირება შესაბამის რეგულაციაში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

21:04 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.

4. მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადატანის შესახებ უახლოეს სხდომაზე, რადგან ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საბჭომ აუცილებლად მიიჩნია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის დასწრება საკითხის განხილვაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

საბჭოს სხდომა დასრულდა 21:11 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ